2009 წელი, 22-28 იანვარი

ფასი 90 თეთრი

ახალი განათლება

№2 (436) გამოდის 1998 წლიდან



ძველი მინიატურა, სადაც წმარო ჯერ კიდევ წმინდა ნინოს სახელობის მონასტრის ეზოშია

ევროპულ ასპარეზზე გამარჯვების პერსპექტივა
გვერდი 4-5

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის გარშემო
გვერდი 6

ფიზიკოსთა საერთაშორისო ოლიმპიადა
გვერდი 8

განათლების ერთიანი პოლიტიკა
გვერდი 10

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბატონ ნიკა გვარამიას

პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის, რევაზ კილაძის

განცხადება

„საჯარო სკოლის სასწავლო დისციპლინების ჩამონათვალში „შრომითი სწავლების“ შეტანის აუცილებლობის შესახებ

მიგვაჩნია, რომ საჭიროა სკოლაში თავის უფლებებში აღდგეს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სასწავლო დისციპლინების ჩამონათვალში (ნუსხაში) შევიდეს როგორც დამოუკიდებელი არჩევითი სასწავლო დისციპლინა – „შრომითი სწავლება“ (თანამედროვე სახელწოდებით: „შრომითი სწავლების ტექნოლოგია“), ყველა თავისი კომპონენტითა და საათების იმ რაოდენობით, რომელიც ადრე ჰქონდა განსაზღვრული, ან თუნდაც მისი ალტერნატიული საგნის – „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების“ სწავლებისათვის განკუთვნილი საათების შესაბამისი ოდენობით.

ბატონო მინისტრო!

ამ წერილით მოგმართავთ განათლების სისტემაში ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილების მქონე პიროვნება, რომელსაც გავლილი აქვს გზა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რიგითი მასწავლებლიდან უმაღლესი სკოლის პროფესორამდე. უმაღლეს სასწავლებლებსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტში ნახევარსაუკუნოვანზე მეტი უწყვეტი მუშაობის განმავლობაში შესრულებული მაქვს 100-ზე მეტი ნაშრომი, ვარ მრავალი სასწავლო პროგრამის და სახელმძღვანელოს ავტორი, რომელთა ერთი ნაწილი პრემირებული და საყოველთაოდ აღიარებულია. დღეს კი ვარ უაღრესად გულნატკენი და გულგატეხილი იმის გამო, რომ ტრადიციული სკოლის გამოცდილების ბევრი სიკეთე იგნორირებულია და არც ვინმე ფიქრობს მის რეაბილიტაციაზე, სასარგებლო შესაძლებლობების სასკოლო მუშაობის პრაქტიკაში შეტანასა და გამოყენებაზე.

ბატონო მინისტრო,

საქმე ეხება საშუალო სკოლაში შრომითი – პოლიტექნიკური სწავლების იმ მნიშვნელოვან ამოცანას, რომლის გადაწყვეტაც ეკისრებოდა ტექნიკურ, სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო შრომითი სწავლების სასწავლო დისციპლინებს. შრომითი სწავლების ეს მიმართულებანი, წლების განმავლობაში, უაღრესად დიდ როლს ასრულებდა (თეორიულ განათლებასთან ერთად) მოსწავლე-ახალგაზრდობის ცხოვრებისათვის მომზადებაში, სწორი პროფესიული ორიენტაციის განხორციელებაში და, საერთოდ, მოზარდის პიროვნების სოციალიზაციის პროცესში. დღეს ეს საგნები, თითქმის, ყველა პოსტსაბჭოურ რესპუბლიკასა და საზღვარგარეთის, თითქმის, ყველა ქვეყანაში ადრინდელი ან უფრო მაღალი დონით ისწავლება. ჩვენთან კი ამ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და მოწინავე გამოცდილების მქონე პრაქტიკოსი პედაგოგების მოსაზრებათა გვერდის ავლით, არაპროფესიონალთა ძალადობრივი უხეშობით ჯერ მექანიკურად იქნა შერწყმული ვითომდა მონათესავე საგნების სწავლებასთან, მერე კი საერთოდ ამოიღეს სასწავლო გეგმიდან, რითაც მოშალეს ის გენერალური ხაზი, რასაც შრომითი პოლიტექნიკური სწავლება გულისხმობდა. ყოველივე ამით სწავლების სისტემიდან ავტომატურად ამოვარდა ყველა ის სიკეთე, რასაც შრომითი-პოლიტექნიკური სწავლება, მატერიალური წარმოებისათვის შესაფერისი მაღალკვალიფიციური მუშაკის მომზადება ითვალისწინებს. ამას ავტომატურად მოჰყვა მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და სწავლებისთვის ესოდენ საჭირო და აუცილებელი სასწავლო-მატერიალური ბაზების, პროგრამების, სახელმძღვანელოების, მეთოდური ლიტერატურისა და სხვა საჭირო საშუალებების სკოლიდან განდევნა, რომელთა შექმნაზე და სკოლების უზრუნველყოფაზე, თავის დროზე, დიდი სახსრებია დახარჯული.

აქვე უნდა მივანიშნო, რომ ბევრმა სკოლამ, რომლებსაც შრომითი სწავლებისათვის შესანიშნავი სასწავლო-საწარმოო და მოსწავლეთა საცდელი საქმიანობისათვის სათანადო ბაზები ჰქონდა, კარგი მასწავლებლებიც ჰყავდათ, უაპელაციოდ ამოიღო შრომითი სწავლების საგნები, სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზები გააუქმა, სკოლისათვის შეძენილი ძვირადღირებული ტექნიკური, დიდაქტიკური და სასწავლო-სამეურნეო დანიშნულების ხელსაწყო-იარაღები, ტექნიკური აღჭურვილობანი და ძვირადღირებული სხვა სასწავლო-სამეურნეო დანიშნულების მოწყობილობანი უღვთოდ გაანიავა, რითაც მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლებისა და ცხოვრებისათვის მათი მომზადების უდიდესი სამომავლო დანიშნულების ამოცანების რეალიზაცია უპერსპექტივო გახდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ უარყოფით ტენდენციას ხელი შეუწყო განათლების სამინისტროს ლიბერალურმა პოლიტიკამაც, რითაც სკოლას თვითონ უნდა გადაეწყვიტა შრომითი სწავლების ბედი. რიგ სკოლებში ეს დიდი მნიშვნელობის საქმე შემთხვევითი ადამიანების ხელში აღმოჩნდა. შრომითი სწავლება არანაკლებ დაზარალდა პედაგოგიურ უნივერსიტეტებში, აგრეთვე ტექნიკურ და სასფოლო-სამეურნეო უნივერსიტეტებში სკოლისთვის სათანადო პედაგოგიური კადრების მომზადების შეზღუდვით – სასწავლებლებმა ნაჩქარევად გააუქმეს შესაბამისი ფაკულტეტები და კათედრები, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა სკოლისათვის საჭირო სპეციალური პედაგოგიური კადრების მომზადება. არც ისაა დასამალი, რომ შრომითი საგნების სწავლებასთან დაკავშირებული დისონანსი ბევრად განაპირობა განათლების სამინისტროს ხელმძღვანელთა, განსაკუთრებით, მინისტრების ხშირმა ცვლამ და ერთი და იმავე პრობლემისადმი სხვადასხვა მიდგომებმა.

გარდა ამისა, საჭიროდ მიგვაჩნია თქვენი ყურადღება მივაპყროთ იმასაც, რომ სკოლაში იგნორირებულია და პედაგოგიური საქმიანობიდან მთლიანად ამოვარდნილია მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის თეორია და პრაქტიკა, განსაკუთრებით კი მუშური პროფესიების არჩევისადმი დამოკიდებულება. ეს პრობლემა ნამდვილად მეტ ყურადღებას ითხოვს – არა მარტო რეაბილიტაციას, არამედ სრულყოფასაც.

მართალია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ 2008-2009 სასწავლო წელს მოქმედ სასწავლო ბადეში შრომითი აღზრდა დასახელებულია ესთეტიკური, შრომითი და ფიზიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფებში, მაგრამ იქვე მკაფიოდ არის განმარტებული, რომ *„ხელოვნების კურსი ისწავლება I-X კლასებში, როგორც სავალდებულო საგანი“*. ამით, ფაქტობრივად, იგნორირებულია „შრომითი სწავლება“, რასაც მოჰყვა მისი ფაქტობრივი გაუქმება და „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების“ დამკვიდრება. ცხადია, „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების“ სწავლება კარგი საქმეა, მაგრამ არის კი ამ საგნის სწავლებისათვის სათანადო ბაზები, შესაფერისი პედაგოგიური კადრები, ან კიდევ სწორია მთელი საქართველოს სასკოლო სივრცისათვის „სავალდებულოდ“ „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების“ სწავლება და ამასთან „შრომითი სწავლების“ გაუქმება, თუნდაც საქართველოს მატერიალური წარმოების სფეროში სამუშაოდ მოსწავლეთა შრომითი მომზადებისათვის?

ეს საქმე დაფიქრებასა და სწორ გადაწყვეტას ელის, მით უმეტეს, ტრადიციულად, საქართველოს მრავალრიცხოვან სახალხო მეურნეობას მუდმივად ესაჭიროება განათლებული, შრომისმოყვარე, მუშური კადრები, რომლებიც ქვეყანას სკოლამ უნდა აღუზარდოს და მოუმზადოს.

ბატონო მინისტრო,

დაბეჯითებით გთხოვთ, შექმნათ სკოლის მუშაობაში ღრმად ჩახედული და პედაგოგიური მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე პირებისაგან კომისია, რომელიც ობიექტურად და მიუკერძოებლად შეისწავლის სკოლაში მოსწავლეთა შორომითი აღზრდის საკითხს და კვალიფიციურად შეაფასებს ამ საქმის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას.

მადლობას გიხდით ყურადღებისთვის.
პატივისცემით, ***რევაზ კილაძე***

ინტელექტუალური თამაში „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის

განცხადება

ინტელექტუალური თამაშის მეორე (სარაიონო) ტურთან დაკავშირებით

ინტელექტუალური თამაშის „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ მეორე (სარაიონო) ტური 2009 წლის მარტში გაიმართება, სპეციალური გრაფიკის მიხედვით, რომელსაც შეადგენს ახალგაზრდული ცენტრი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

სარაიონო ტურის თამაშებზე დაიშვებიან სასკოლო ტურში გამარჯვებული გუნდების ბაზაზე შექმნილი სასკოლო ნაკრებები (თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში ცალ-ცალკე), შესაბამისი წესით შედგენილი განაცხადების წარმოდგენის შემდეგ. სასკოლო ნაკრების ჩამოყალიბება შემდეგი წესით უნდა მოხდეს:

- სასკოლო ნაკრების სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს სასკოლო ეტაპზე გამარჯვებული გუნდის სახელწოდებას.
- სასკოლო ტურში გამარჯვებული გუნდის 4 წევრი აუცილებლად უნდა იყოს შეყვანილი სასკოლო ნაკრების შემადგენლობაში.
- ახალი კაპიტნის არჩევა შესაძლებელია იმ პირობით, თუ ყოფილი კაპიტანი დარჩება ნაკრების შემადგენლობაში.
- სასკოლო ნაკრების შემადგენლობაში შეიძლება არ იყოს შეყვანილი სასკოლო ტურში გამარჯვებული გუნდის სამი წევრი.
- სასკოლო ნაკრებს უფლება აქვს ჰყავდეს სამი სათადარიგო მოთამაშე.
- სასკოლო ნაკრებმა უნდა წარმოადგინოს გულშემატკივართა მიერ შესასრულებელი საკონცერტო ნომრების ჩამონათვალი (1 საგალობელი, 1 ხალხური სიმღერა, 1 ხალხური ცეკვა).
- ყოველმა მოასპარეზე გუნდმა კვლავ უნდა წარმოადგინოს 50 კითხვა-პასუხი (25 – ძველი აღთქმიდან, 25 – ახალი აღთქმიდან), წყაროების მითითებით თითოეულ კითხვა-პასუხთან დაკავშირებით. პასუხები მოკლედ, ერთი ან ორი სიტყვით უნდა გაიცეს. ადრე წარმოდგენილი კითხვა-პასუხები არ უნდა განმეორდეს.

მრავალრიცხოვანი თხოვნის გათვალისწინებით, ინტელექტუალური თამაშის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, მისცენ ასპარეზობის სარაიონო ტურში ჩართვის უფლება იმ სკოლების გუნდებსაც, რომლებმაც, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ვერ შეძლეს სასკოლო ტურში მონაწილეობის მიღება.

სკოლებმა, რომლებიც პირდაპირ სარაიონო ტურში ერთვებიან, თითოეული ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით, უნდა წარმოადგინონ შესაბამისი განაცხადები, რომლებშიც მითითებული იქნება: სკოლის სრული მისამართი; სკოლის სახელწოდება; გუნდის სახელი; გუნდის ძირითადი შემადგენლობა (7 ბავშვი), კლასების მითითებით; კაპიტნის ვინაობა; სათადარიგო მოთამაშეები (3 ბავშვი), კლასების მითითებით.

განაცხადები, სარაიონო ტურში მონაწილეობისთვის, უნდა იყოს წარმოდგენილი 2009 წლის 1 თებერვლიდან 20 თებერვლამდე, ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (წმიდა სამების საკათედრო ტაძარი). ინტერნეტით გამოგზავნილი განაცხადები ოფიციალურ დოკუმენტად არ ჩაითვლება. ყოველ განაცხადს უნდა დაერთოს საკონტაქტო პირის რეკვიზიტები. არასრულყოფილად შედგენილი ან დაგვიანებით მოწოდებული განაცხადები არ მიიღება.

შევახსენებთ, აგრეთვე, სასკოლო ტურში მონაწილე სკოლებს, რომ სასკოლო ეტაპის თამაშების ჩატარების ბოლო ვადა – 2009 წლის 31 იანვარია. თამაშები, რომლებიც გაიმართება ახალგაზრდული ცენტრიდან დალუქულ კონვერტებში მოწოდებული კითხვების გარეშე, ოფიციალურად ჩატარებულად არ ჩაითვლება. 1 თებერვლამდე მოწოდებული განაცხადები სარაიონო ეტაპისთვის არ გამოდგება.

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: 8-95-95-54-54 – მართა მეშველიანი, 8-95-95-51-62 – სოფიო ჭავჭანიძე.
E-mail: axalgazrdoba@gmail.com; biblia@axalgazrdoba.ge

სიახლეები განათლებასა და მეცნიერებაში
დეკემბერი, 2008

მთავარი სიახლეები

- ამიერიდან სკოლებში სპორტის პოპულარიზაცია ინტენსიურად განხორციელდება;
- პედაგოგებს დაზღვევის ექვსწლიანი სახელმწიფო პროგრამისათვის, 80 ათასამდე ბენეფიციარისთვის, 2009 წლის ბიუჯეტში 19,5 მილიონი ლარია გათვალისწინებული;
- „საბჭოეთის ისტორიას“ საქართველოს ყველა სკოლაში გაეცნობიან;
- მომავალი წლიდან პედაგოგების ხელფასები ეტაპობრივად გაიზრდება.

ზოგადი განათლების სიახლეები

მინისტრმა ტირძნისელებსა და ნიქოზელებს ახალი წელი მიულოცა

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ტირძნისის სკოლის გადარჩენისთვის 4 ტირძნისელი ქალბატონი ღირსების ორდენით დააჯილდოვა და ზემო ნიქოზელ 200-მდე მოსწავლეს საახალწლო საჩუქრები გადასცა. ვიზიტის ფარგლებში, ნიკა გვარამია ტირძნისის სკოლის პედაგოგებსაც შეხვდა და პრეზიდენტის სტიპენდიანტ 15 პედაგოგს გორის რაიონიდან სერტიფიკატები გადასცა.

„საბჭოეთის ისტორიას“ საქართველოს ყველა სკოლაში გაეცნობიან

დოკუმენტური ფილმის ჩვენებას №1 საჯარო სკოლაში, უფროსკლასელებთან ერთად, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია დაესწრო. ლატვიელი რეჟისორის, ედვინს შნორეს, დოკუმენტურ ფილმში „საბჭოეთის ისტორია“ ნაცისტებისა და საბჭოთა რეჟიმის ურთიერთთანამშრომლობის აქამდე უცნობი დეტალებია გამოაშკარავებული. სამინისტროს ინიციატივით ფილმის ჩვენება საქართველოს ყველა სკოლაში იგეგმება.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ავჭალის კოლონიაში 200-მდე მსჯავრდებულს საჩუქრები გადასცა

სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში არასრულწლოვანთა განათლების ხელმისაწვდომობა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2008 წლიდან, სამინისტროში სპეციალური პროგრამა „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“ მიმდინარეობს, რომლის მიზანია ყველა არასრულწლოვან პატიმარს ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს ხარისხიანი ზოგადი განათლება; სასჯელის მოხდის დროს არასრულწლოვანი პატიმრები დამატებით ჩაერთონ ისეთ საგანმანათლებლო აქტივობებში, როგორიცაა ეკსკურსიები, დებატები და სხვ. მინისტრმა დაათვალიერა არასრულწლოვანთა კოლონიის სასწავლო დაწესებულება, გაესაუბრა პატიმრებს და დაპირებაც მისცა: „ვინც ისწავლით კარგად, გამოიჩენთ ინტერესს ამ მიმართულებით და გექნებათ რეკომენდაცია სკოლიდან, ყველაფერს გავაკეთებ, რომ დროზე ადრე გახვიდეთ ამ დაწესებულებიდან“. მინისტრმა 200-მდე არასრულწლოვან მსჯავრდებულს 4 პორტატული კომპიუტერი, პრინტერი, პროექტორი, 300 წიგნი (მხატვრული ლიტერატურა), სასკოლო სახელმძღვანელოები, ვიდეოთეკა გადასცა.

წელს პედაგოგების დაზღვევის პროგრამაში მონაწილეობის სურვილი 2-ჯერ მეტმა კომპანიამ გამოთქვა

პედაგოგებს დაზღვევის ექვსწლიანი სახელმწიფო პროგრამისთვის, 80 ათასამდე ბენეფიციარისთვის, 2009 წლის ბიუჯეტში 19,5 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

სახელმწიფო პედაგოგების ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამას მომავალ წელსაც სრულად დააფინანსებს. საჯარო სკოლების სასწავლო და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი, ასევე პროფესიული სწავლების ცენტრების და სხვა დაწესებულებების პედაგოგები სადაზღვევო კომპანიას, შემოთავაზებული პირობების მიხედვით, თვის ბოლომდე, თავად აირჩევენ. ხელახალი სამედიცინო დაზღვევის პროცესი მთავრობის №256 დადგენილების შესაბამისად მიმდინარეობს.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, მთავრობის 18-თვიანი პროგრამის ფარგლებში, მარნეულში, იძულებით გადაადგილებული მოსწავლეებისთვის სასკოლო ინვენტარის გადაცემის პროცესს დაესწრო და პრეზიდენტის სტიპენდიანტი მასწავლებლები დააჯილდოვა

საქართველოს მასშტაბით, რუსული ოკუპაციის შედეგად დაზარალებული მოსწავლეები და მასწავლებლები მცხეთის, გორის, ქარელის, დუშეთის, კასპის, ხაშურის,გარდაბნის, თეთრიწყაროს, მარნეულის, ბოლნისის, ლაგოდეხისა და საგარეჯოს 32 საჯარო სკოლაში გადანაწილდნენ. ახალი დასახლებების 3500-მდე მოსწავლე, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილნი იქნებიან დამატებითი სასკოლო ინვენტარითა და ტრანსპორტით.

დაბა შაუმიანის №2 საჯარო სკოლაში, სადაც რუსული აგრესიის შედეგად ლტოლვილი 30 მოსწავლე სწავლობს, 230 ახალი მერხისა და სკამის გადაცემას მინისტრი დაესწრო. უახლოეს მომავალში, შაუმიანის №2 საჯარო სკოლა კიდევ 141 დევნილ მოსწავლეს მიიღებს. სკოლამ უკვე 6 დევნილი პედაგოგიც დაასაქმა. ნიკა გვარამიამ სკოლას, ფონდ „ირმის ნახტომის“ ფარგლებში, პერსონალური კომპიუტერი და პროექტორი გადასცა. ვიზიტის ფარგლებში, მინისტრმა მარნეულის რაიონის პრეზიდენტის სტიპენდიანტი 15 მასწავლებელიც დააჯილდოვა.

მომავალი წლიდან პედაგოგების ხელფასები ეტაპობრივად გაიზრდება

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია ქუთაისში პედაგოგებს შეხვდნენ. მიხეილ სააკაშვილმა საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესების აუცილებლობაზე ისაუბრა: „პედაგოგების ხელფასები 2009 წლის სექტემბრამდე 25 ლარით გაიზრდება, სექტემბრის შემდეგ კიდევ 25 ლარით, ჩვენ გვჭირდება რეფორმები განათლების ხარისხისა და პედაგოგების ცხოვრების პირობების ასამაღლებლად, რეფორმები უნდა გაგრძელდეს“, – აღნიშნა პრეზიდენტმა. მოგვიანებით გამართულ ბრიფინგზე, მინისტრმა აღნიშნა, რომ მასწავლებელთა სამუშაო სტაჟის, განათლებისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით პედაგოგების 70%-ის ხელფასი იანვრიდან არა 25 ლარით, არამედ საშუალოდ 32 ლარით გაიზრდება. საბაზო ხელფასის გაზრდისა და სადამრიგებლო დანამატის გათვალისწინებით, კლასის დამრიგებელთა სახელფასო მატება სექტემბრიდან 100 ლარამდე იქნება. მინისტრმა მცირეკონტიგენტიანი სკოლების დაფინანსების გაზრდაზეც ისაუბრა. „მთლიანობაში სასკოლო ვაუჩერის დაფინანსება 30 მილიონი ლარით გაიზრდება, ხოლო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო გრანტების ოდენობა 8 მილიონი ლარით მოიმატებს“- განაცხადა ნიკა გვარამიამ.

ამიერიდან სკოლებში სპორტის პოპულარიზაცია ინტენსიურად განხორციელდება

2009 წლისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გეგმავს: ფეხბურთში „სკოლბურთის“ შეჯიბრებების ორგანიზებას, საქართველოს მასშტაბით და სასკოლო საფეხბურთო ლიგის შექმნას; რაგბის და კალათბურთის პოპულარიზაციის მიზნით სასკოლო შეჯიბრებების ორგანიზებას. ამ გეგმებზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ნიკა გვარამიამ 47-ე საჯარო სკოლის განახლებულ დარბაზში გამართულ სპორტულ ღონისძიებაზე ისაუბრა. სასკოლო ცხოვრებაში სპორტული კომპონენტის გააქტიურების მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, მოსწავლეებში თავისუფალი დროის სწორად ორგანიზების და მართვის ხელშეწყობა. ფიზიკური აღზრდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სავალდებულოა საშუალო განათლების ყველა საფეხურზე და მოიცავს 12 კლასს.

50-მდე საჯარო სკოლაში „საგზაო უსაფრთხოების სწავლება“ დაიწყო

მასწავლებელთა და მოსწავლეთა მონაწილეობით პროექტის „საგზაო უსაფრთხოების სწავლება სკოლებში“ პრეზენტაცია თბილისის 24-ე საჯარო სკოლაში გაიმართა და მას განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ანა ჟვანია დაესწრო.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ზედამხედველობით და ფინანსური თანამონაწილეობით, მომზადდა მასწავლებლის და მოსწავლის სახელმძღვანელო. ასევე, ამ პროგრამისთვის დამზადდა სხვადასხვა თვალსაჩინოება:პოსტერები, გაკვეთლების ცხრილები, საგზაო ნიშნები თითოეული კლასისთვის და ფილმი. პროექტი „საგზაო უსაფრთხოების სწავლება“ საქართველოს ექვსი ქალაქის: თბილისის, რუსთავის, თელავის, გორის, ქუთაისისა და ბათუმის 48 საჯარო სკოლაში ხორციელდება და მასში III-IV კლასის მოსწავლეები არიან ჩართულნი. ტექნიკური პერსონალი, ასევე პროფესიული სწავლების ცენტრების და სხვა დაწესებულებების პედაგოგები სადაზღვევო კომპანიას შემოთავაზებული პირობების მიხედვით თვის ბოლომდე თავად აირჩევენ. ხელახალი სამედიცინო დაზღვევის პროცესი მთავრობის №256 დადგენილების შესაბამისად მიმდინარეობს.

წინასაახალწლოდ ფონდმა „ირმის ნახტომი“ 300-მდე მოსწავლესა და პედაგოგს სპეციალური საჩუქრები გადასცა

ამ ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ქართული და ქართულად თარგმნილი ლიტერატურული ელექტრონული ბიბლიოთეკის – „ვახტანგ VI“ პრეზენტაცია. ელექტრონული ბიბლიოთეკა შედგება მოსწავლეებისა და პედაგოგების მიერ შექმნილი იმ ვებგვერდებისგან, რომლებიც „ირმის ნახტომის” პროექტებში მონაწილეობდნენ. ამ დროისათვის, არსებობს 200-მდე ქართველი და 50-მდე უცხოელი მწერლის ვებგვერდი.

განათლების მინისტრმა ვანის რაიონში ახალი სკოლა გახსნა

ვანის რაიონის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლას პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამის „იაკობ გოგებაშვილი – საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“ ფარგლებში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა, რაზეც 368 000 ლარი დაიხარჯა. სალხინოს სკოლის 200-ზე მეტი მოსწავლე თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სასწავლო გარემოში გააგრძელებს სწავლას. ვიზიტის ფარგლებში ნიკა გვარამიამ ვანის რაიონის პრეზიდენტის სტიპენდიანტი 7 წარმატებული პედაგოგი სერტიფიკატებით დაჯილდოვა.

პრეზენტაციები/კონფერენციები

გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა კონფერენცია „საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები საქართველოში – რეალობა და ინიციატივები“

„საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები საქართველოში – რეალობა და ინიციატივები“ მიზნად ისახავდა განათლების სისტემის, არასამთავრობო ორგანიზაციების, სასწავლო დაწესებულებების, პედაგოგიური წრეების ჩართვას საერთაშორისო კვლევების შედეგების განხილვაში, ასევე შემდგომი სტრატეგიის, კონკრეტული ნაბიჯების განსაზღვრის პროცესში. კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი საკითხი მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ქართველი მოზარდების შედეგები, მათი ცოდნისა თუ შესაბამის საკითხებზე მსჯელობის უნარის შეფასება იყო.

სამეწარმეო კონფერენციის ფარგლებში, ამერიკელმა და ქართველმა ექსპერტებმა ბიზნესზე ორიენტირებული 12 საუკეთესო სამეცნიერო პროექტი შეარჩიეს

აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდმა (CNDF), საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა (GNSF) და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა, ბიზნესპარტნიორობის პროგრამის ფარგლებში, სამეწარმეო კონფერენცია ჩაატარეს. კონფერენცია მიზნად ისახავდა ბიზნესკომპანიებისა და სამეცნიერო ჯგუფების თანამშრომლობის განვითარებას, სამეცნიერო შედეგების კომერციალიზაციას. კონკურსზე წარდგენილი 42 საინოვაციო პროექტიდან საქართველოსა და ამერიკის დამოუკიდებელმა ექსპერტებმა ბიზნესზე ორიენტირებული 12 საუკეთესო პროექტი შეარჩიეს. 2009 წლის მანძილზე საგრანტო პროექტების დაფინანსების ბიუჯეტი 240 000 ლარია, რომელსაც წილობრივად იხდიან: საქართველო და განვითარების ფონდი (40 ათასი ლარი). 2007 წელს, ამ კონკურსის ფარგლებში, 8 პროექტი დაფინანსდა. ორივე პროექტი სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებული კერძო სექტორის განვითარებას ითვალისწინებს.

უმაღლესი განათლება

ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ჩატარებული საგრანტო კონკურსის შედეგად, უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები უახლესი სამეცნიერო ლიტერატურით, პერიოდული გამოცემებითა და ელექტრონული რესურსით აღიჭურვა

ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ჩატარებული საგრანტო კონკურსი მიზნად ისახავს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების განვითარებას. ბიბლიოთეკებისთვის სამეცნიერო ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების შეძენა (500 ათასი ლარი) სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა. კონკურსის შედეგად, გრანტი ხუთმა უმაღლესმა სასწავლებელმა მიიღო, ესენია: ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის საზღვაო აკადემია და ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ევროპულ ასპარეზზე გამარჯვების პერსპექტივა



პროექტის შესახებ

19 იანვარს, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჩატარდა საერთაშორისო ბიზნესასპარეზის – Skills@work Challenge – I ეტაპი, რომელშიც პროფესიული სასწავლო ცენტრების სტუდენტები (15-18 წლის) მონაწილეობდნენ.

კონკურსი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის 9 ქვეყანასა (აზერბაიჯანი, ბულგარეთი, თურქეთი, ისრაელი, მაკედონია, რუმინეთი, საქართველო, სერბეთი, სომხეთი) და დიდ ბრიტანეთში იმართება. ბიზნესასპარეზის მიზანია ახალგაზრდების წახალისება, გამოიყენონ თავიანთი უნარ-ჩვევები სამეწარმეო მიზნებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მათი სამეწარმეო გამოცდილების გაღრმავებას, შესაბამისად, დასაქმებას. კონკურსში გამარჯვებულები მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ფინალში, რომელიც 2009 წლის 11-13 მარტს, ბულგარეთში, სოფიაში გაიმართება.

პროექტის ორგანიზატორები

ბრიტანეთის საბჭო – **პოლ დაბლდეი**, დირექტორი სამხრეთ კავკასიაში; **მაია ყიფშიძე** – დირექტორის მოადგილე პროგრამებში; **თამარ კვაჭაძე** – პროექტის მენეჯერი; **ეკა ფახურიძე** – PR მენეჯერი.

ბრიტანეთის საბჭო გაერთიანებული სამეფოს წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციაა კულტურული ურთიერთობების სფეროში. იგი აკავშირებს ინოვაციური იდეების და ცოდნის დაუფლების შესაძლებლობის მქონე ადამიანებს მსოფლიოში, ხანგრძლივი ურთიერთობების ჩამოყალიბების მიზნით. ბრიტანეთის საბჭოს პარტნიორები არიან სხვადასხვა სფეროში წარმატებული ორგნიზაციები, მათ შორის სამთავრობო დეპარტამენტები. საბჭო ხელს უწყობს ამ ორგანიზაციების საზოგადოების ფართო სპექტრთან დაახლოებას.

მაია ყიფშიძე, ბრიტანეთის საბჭოს დირექტორის მოადგილე პროგრამებში: *„ბრიტანეთის საბჭომ, ჯუნიორ ეჩივმენტთან ერთად, რომელიც გამოცდილია სხვადასხვა ბიზნესასპარეზობის ჩატარებაში სკოლებში და პროფესიულ ცენტრებში, ახორციელებს პროექტს skills@work (უნარ-ჩვევები და სამსახური). ბრიტანეთის საბჭოს პრიორიტეტული მიმართულებებია კულტურა და განათლება, განათლების რეფორმის ფარგლებში დანერგილი სიახლეებიდან კი, სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით, უპირატესობა პროფესიული სწავლების ცენტრების განვითარების ხელშეწყობას ენიჭება.*

ამ პროექტის ფარგლებში, რომელიც უკვე წელიწადნახევარია ხორციელდება საქართველოში, ჩავატარეთ სხვადასხვა სემინარები და კონფერენციები, ასევე, დავაპარტნიორეთ ტურიზმის კოლეჯი – პროფესიული სასწავლებელი „იკაროსი“ შოტლანდიის ტურიზმის კოლეჯთან. ეს პარტნიორობა გულისხმობს სასწავლო პროგრამების გაცვლას, გამოცდილების გაზიარებას, მოსწავლეებისა და მასწავლებლების გაცვლას და ა.შ. საბოლოოდ მომზადდება ერთობლივი პროდუქტი – სასწავლო გეგმა და სხვადასხვა დარგის სახელმძღვანელოები.

ამ დიდი პროექტის მეორე კომპონენტი დღევანდელი ბიზნესასპარეზია. შეირჩა 15-18 წლის ასაკის 105 სტუდენტი პროფესიული სასწავლებლებიდან, რომელთაც საკონკურსო პრობლემა ჩვენმა ბიზნესპარტნიორმა – სასტუმრო „გუდაურმა“ შესთავაზა. კონკურსანტები ერთ სივრცეში განთავსდნენ, სადაც 12 საათის განმავლობაში იმუშავებენ ერთად. მონაწილეები 21 ჯგუფად დაიყვნენ და თითოეულ 5-კაციან ჯგუფს მიემაგრა ბიზნესმოხალისე (კავკასიის ბიზნეს სკოლის, ESM-ის და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, რომლებიც ამ სპეციალობაზე სწავლობენ). მათ გაიარეს ტრენინგი და ეხმარებიან მონაწილეებს ბიზნესგეგმის შედგენასა და პრეზენტაციის მომზადებაში. შედეგებს შეაჯამებს ჟიური, რომლის შემადგენლობაში არიან: ტურიზმის დეპარტამენტის უფროსი, დამსაქმებელთა კავშირის თავმჯდომარე, ჩვენი ბიზნესპარტნიორი – სასტუმრო „გუდაურის“ გენერალური მენეჯერი და სხვ. ამ პროექტის ძირითადი მიზანი დამსაქმებლების საგანმანათლებლო პროცესთან დაახლოებაა. ბიზნესასპარეზზე შეძენილი უნარ-ჩვევები კონკურსის მონაწილეებს შემდგომ დასაქმებაში დაეხმარება. ჟიური შეაჯამებს პრეზენტაციას და გამარჯვებულ გუნდს სასტუმრო „გუდაური“ გადასცემს პრიზებს.

პირველ სამ ადგილზე გასული გუნდებიდან ინგლისური ენის მცოდნე სტუდენტებს შევარჩევთ და მარტში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით, 9 ქვეყანაში გამარჯვებულ გუნდებთან ერთად, ისინი საერთაშორისო კონკურსის ფინალურ ტურში მიიღებენ მონაწილეობას. ამ ეტაპზე ასპარეზობაში ინგლისელი სტუდენტებიც ჩაერთვებიან. შერეულ გუნდებში მუშაობა გარკვეულ გამოცდილებას შესძენს ქართველ სტუდენტებს.“

ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველო – **ლანსელოტ ფლეტჩერი**, პრეზიდენტი; **ეკა გეგეშიძე** – აღმასრულებელი დირექტორი; **ნატო ბრეგვაძე** – პროექტის მენეჯერი.

Junior Achievement – Young Enterprise Europe წარმოადგენს მსოფლიოს უმსხვილეს ორგანიზაციას სამეწარმეო განათლების სფეროში, რომელიც 40 ქვეყანას და 2, 8 სტუდენტს ითვლის. ბიზნესის და განათლების სფეროებში მოღვაწე ათასობით პროფესიონალთან ერთად, JA – YE სტუდენტებს საკუთარი შესაძლებლობების კიდევ უკეთ გამოვლენაში ეხმარება. ამ ორგანიზაციის პროგრამა ევროკომისიის სამეწარმეო გენერალური დირექტორატის მიერ აღიარებულია, როგორც „სამეწარმეო განათლების საუკეთესო ნიმუში“.

ეკა გეგეშიძე, ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი: *„ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველო, ბრიტანეთის საბჭოსთან ერთად, ახორციელებს Junior Achivment Young Enterprise-ის პროგრამას skils@work, რომელიც, პარალელურად, 9 ქვეყანაში მიმდინარეობს და გამიზნულია პროფესიული სწავლების სტუდენტებისათვის (15-18 წლის). ბიზნესასპარეზი ერთდღიანი ღონისძიებაა, იწყება დილის 9 საათზე და მთავრდება საღამოს 9 საათზე. ამ ერთი დღის განმავლობაში კონკურსანტები მუშაობენ ბიზნესკონსულტანტების დახმარებით „ბიზნესქეისზე“ – პრობლემაზე. წერენ ბიზნესგეგმას, შეიმუშავებენ ინოვაციურ პროდუქტს და ჟიური სწორედ ინოვაციური მიდგომით შეაფასებს გუნდებს – რამდენად ახლებური და შემოქმედებითი იქნება მათი მიდგომა დასმული პრობლემისადმი. ასპარეზი იმ კუთხითაც მნიშვნელოვანია, რომ ამ ერთი დღის განმავლობაში მონაწილეები შეიძენენ ზოგად უნარ-ჩვევებს როგორც ბიზნესის დაწყების, ასევე ბიზნესგეგმის გათვლისა და მუშაობის დაწყების. სწორედ ამიტომ ჰქვია პროექტს skils@work/უნარ-ჩვევები და სამსახური. ეს პროექტი ხელს უწყობს სხვადასხვა პროფესიული სასწავლებლების სტუდენტთა დაახლოებას.*

გამარჯვებული 5 სტუდენტი სოფიაში წარმოადგენს საქართველოს. ჩვენ მიზნად დავისახეთ ქართული საქმე გაგვეკეთებინა და ამიტომ ტურიზმის განვითარებას მივუძღვენით წლევანდელი ასპარეზი. შეირჩა „გუდაურის ქეისი“ – ზამთრის კურორტი. ეს პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოს ამ სამთო-სათხილამურო კურორტის შესახებ ინფორმაციის საზღვარგარეთ გატანას, რადგან საერთაშორისო კონკურსის მონაწილე ყველა ქვეყანა გაიგებს გუდაურის – ზამთრის კურორტის არსებობის შესახებ.

ჩვენ გვერდით არიან: პირველი არხი, რომელიც საინფორმაციო უზრუნველყოფას ახორციელებს და ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტი, რომელმაც ასპარეზობისთვის შენობა დაგვითმო. დიდ დახმარებას გვიწევენ პროფესიული სწავლების ცენტრები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

მართალია, ბიზნესასპარეზი ერთდღიანი ღონისძიებაა, მაგრამ ამას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი პერიოდი. რამდენიმეთვიანი მუშაობის შედეგია ის, რომ დღეს 21 ბიზნესმოხალისე – პროკრედიტ ბანკიდან, ჰიუნდაიდან, საქართველოს ბანკიდან, ქართუ ჯგუფიდან და სხვ. – კონსულტაციას უწევს გუნდებს და ბიზნესგეგმის დაწერასა და იდეის შემუშავებაში ეხმარება.“

ბიზნესასპარეზი

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ ბიზნესასპარეზში თბილისის პროფესიული სწავლების 5 ცენტრის 105 სტუდენტი მონაწილეობდა. ეს ცენტრებია: ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრი (დირექტორი – **ზაზა ცირამუა**); თბილისის პროფესიული სწავლების ცენტრი „იკაროსი“ (დირექტორი – **თამარ ტაბიძე**); თბილისის მრავალპროფილიანი პროფესიული სწავლების ცენტრი (დირექტორი – **გიორგი მახარაძე**); თბილისის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო პროფესიული სწავლების ცენტრი (დირექტორი – **ირაკლი ფაჩულია**); თბილისის პროფესიული სწავლების ცენტრი (დირექტორი – **სერგო მაისურაძე**).

თამარ ტაბიძე, ტურისტული კოლეჯის – „იკაროსის“ დირექტორი: *„პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი სასწავლებელი დიდი ხანია თანამშრომლობს ბრიტანეთის საბჭოსთან საქართველოში. შარშან ჩვენ მოვიგეთ skils@work. კონკურსის შედეგად შევიძინეთ პარტნიორი სკოლა შოტლანდიაში – დანდის კოლეჯი, სადაც ხშირად ჩავდივართ და ისინიც ჩამოდიან, ერთმანეთს გამოცდილებას ვუზიარებთ. აპრილში დაგეგმილია ვიზიტი – 6-7 ბავშვი, ორ პედაგოგთან ერთად, გაემგზავრება შოტლანდიაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია.*

გარდა ამისა, ბრიტანეთის საბჭომ მოგვიმზადა და დაბეჭდა პროფესიული სახელმძღვანელოები, ინგლისურ ენაზე, ბარმენებისთვის, მზარეულებისთვის, სასტუმროს საქმის სპეციალისტებისთვის. სწორედ ჩვენი თანამშრომლობის ფარგლებში იმართება ეს კონკურსი. თავიდან გათვალისწინებული იყო, რომ მხოლოდ ჩვენი ცენტრის 100 სტუდენტი მიიღებდა მონაწილეობას, მაგრამ კონკურსს თავისი პირობები აქვს – მონაწილეთა ასაკი განსაზღვრულია 15-დან 18 წლამდე. ამ ასაკის 100 სტუდენტი ჩვენ არ გვყავდა. ამიტომ მოხდა მოდიფიცირება, პროექტი ცოტა შეიცვალა და დღეს 5 სასწავლებელი მონაწილეობს. ჩვენი 30 სტუდენტი ჩაება ასპარეზობაში, მათში ძალიან დიდია მოტივაცია, მოლოდინი და სურვილი არა მარტო გამარჯვების, ასეთი პროექტები სახალისოც არის და ინტელექტის გამოვლენის საშუალებასაც აძლევს ახალგაზრდებს, ამავდროულად, ხელს უწყობს მათ პროფესიულ დაოსტატებას. კარგი იქნება, თუ მსგავსი პროექტები ხშირად ჩატარდება.

მადლობა ჯუნიორ ეჩივმენტს, რომელიც პროექტის ოპერაციულ მხარეს ახორციელებს.“

სულიკო გაგნიძე, პროფესიული სწავლების ცენტრის სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების პედაგოგი: *„თვალს ვადევნებდი უნივერსიტეტების სტუდენტთა კონკურსს და ძალიან დავინტერესდი. ჩვენს სასწავლებელში შევკრიბეთ ინოვაციური იდეების მქონე 20 ახალგაზრდა, რომელთაგან 15 ასპარეზობაში ჩაერთო (დიდთოვლობის გამო 5 სტუდენტი სვანეთში ჩარჩა). ყველა დაძაბულად, თავაუღებლად შრომობს. მიხარია, ასე სერიოზულად რომ მიუდგნენ საკითხს. ბიზნესასპარეზზე მიღებული უნარ-ჩვევები მათ მომავალში გამოადგებათ. მსგავსი კონკურსები ძალიან წაადგება ჩვენს ახალგაზრდობას და ჩვენს ქვეყანას ახალი ინფრასტრუქტურის განვითარებაში. მე სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლებს ვასწავლი და ამიტომ დამევალა გუნდის ხელმძღვანელობა დღევანდელ კონკურსზე. კარგად ვიცნობ სტუდენტებს. მათ ახალი, ინოვაციური იდეები აქვთ, ბიზნესასპარეზი სწორედ იდეების რეალიზებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს შესძენს.“*

თეა სიფრაშვილი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე: *„დღევანდელი ბიზნესასპარეზი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, ძალიან კარგი წამოწყებაა როგორც ბრიტანეთის საბჭოს, ასევე ჯუნიორ ეჩივმენტის მხრიდან. პროფესიულ განათლებაში მნიშვნელოვანია არა მარტო ზოგადი განათლების მიღება,*

არამედ ისეთი განათლებისა, რაც მომავალში გამოყენებული იქნება დასაქმებისთვის – იმ უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც კონკრეტული სამუშაოს შესრულებაში დაეხმარებათ. მსგავსი ღონისძიებები სწორედ ამ უნარების განვითარებას უწყობს ხელს და ორმაგ დატვირთვას ატარებს – ერთი მხრივ, ეს არის კავშირი პროფესიულ სასწავლებელსა და დამსაქმებელს შორის, მეორე მხრივ, თვითონ ბავშვებს შორის. კარგი იქნება, ამ ტიპის ღონისძიებები უფრო ხშირად თუ გაიმართება.“

ნათია ქველიაშვილი, თბილისის მრავალპროფილიანი სასწავლებელი, ჯგუფი „შევარდენი“: *„ასეთი კონკურსები იმით მიზიდავს, რომ გამოცდილების შეძენის საუკეთესო საშუალებაა. ამიტომ გადავწყვიტე მონაწილეობის მიღება. გვეძლევა შანსი, რომ გავიმარჯვოთ, გავემგზავროთ უცხოეთში და იქ წარვადგინოთ ჩვენი ქვეყანა. მოხარული ვიქნები, ჩვენი გუნდი თუ გაიმარჯვებს. ბიზნესპარეზი დიდ გამოცდილებას შემძენს. მართალია, ჩემი სპეციალობა ფარდაგების ქსოვაა, მაგრამ ჩვენ ეკონომიკასაც ვსაწავლობთ და ამდენად ეს კონკურსი ჩვენთვისაც სასარგებლოა.“*

მაია მეხრიშვილი, თბილისის მრავალპროფილიანი სასწავლებელი, ჯგუფი „შევარდენი“: *„მასწავლებელმა გვირჩია, მონაწილეობა მიგვეღო ამ კონკურსში. ჩვენც დავთანხმდით, გვაინტერესებდა, როგორ გავართმევდით თავს პრეზენტაციას. გავლილი გვაქვს ტრენინგები და გვსურდა, თეორიული ცოდნის რეალიზება მოგვეხდინა. ძალიან კმაყოფილები ვართ დღევანდელი დღით და გამარჯვების იმედი გვაქვს.“*

ზურა ამაშუკელი, ტურისტული კოლეჯი „იკაროსი“, ჯგუფი „რატატუი“: *„ბიზნესასპარეზით ძალიან კმაყოფილები ვართ. კონკურსმა იმით დაგვაინტერესა, რომ თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების საშუალება გვეძლეოდა. ჩემი სპეციალობა მზარეულობაა, აქ მიმტანებიც არიან და სასტუმრო საქმის სპეციალისტებიც. საკონკურსო დავალება იყო სასტუმრო ქოხის სტრუქტურა – უნდა შეგვექმნა მიმზიდველი პირობები და, რაც შეიძლება მეტი კლიენტი მოგვეზიდა. დავალება უკვე შევასრულეთ და შედეგს ველოდებით. იმედია, გავიმარჯვებთ.“*

პროექტის ბიზნესპარტნიორი იყო სააქციო საზოგადოება – სასტუმრო „გუდაური“.

ვანო ვაშაყმაძე, სასტუმრო „გუდაურის“ გენერალური მენეჯერი, ჟიურის წევრი: *„მართალია, ახლა ჩვენი სეზონია და ძალიან ბევრი საქმე გვაქვს, მაგრამ მაინც დავთანხმდით ბრიტანეთის საბჭოს თხოვნას. გადავწყვიტეთ, პროექტის ბიზნესპარტნიორობა გაგვეწია. გამოიკვეთა თავისთავად საინტერესო იდეა – „მთის ქოხის“ შეთავაზება წარმოსახვის ობიექტად. ჩემთვისაც უფრო იოლი იყო ამ ექსპერიმენტის ჩატარება. „მთის ქოხი“ ჩვენი სასტუმროს ნაწილია და წარმატებით ფუნქციონირებს, მოთხილამურეებისთვის საკმაოდ ცნობადი ადგილია. ბავშვებისთვისაც საინტერესო იქნებოდა ასეთ თემაზე მუშაობა – არა რაიმე აბსტრაქტულ ამოცანაზე, არამედ – კონკრეტულ ობიექტზე. ჯილდოს სახით, ვიფიქრეთ, გამარჯვებულისთვის შეგვეთავაზებინა ერთი ღამისთევა ჩვენს სასტუმროში, საბაგიროს აბონემენტებით.*

ჩვენი ინტერესი იმაშიც მდგომარეობს, რომ დიდი საწარმო ვართ – სახელმწიფო საქციო საზოგადოება, რომლის მფლობელობაშია: საბაგირო გზები, სასტუმრო „გუდაური“, „მთის სახლი“, ბაღი, სკოლა, დასახლება... ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხია ახალგაზრდა კვალიფიციური პერსონალი. ამიტომ კარგი იქნება, თუ მომავალ კურსდამთავრებულებში ჩვენთან მუშაობის ინტერესი გაჩნდება. ჩვენი კადრებიც გვინდა გამოვაგზავნოთ სასწავლებლად, ამდენად, ჩვენი ინტერესები გადაიკვეთა.“

დასკვნითი ნაწილი

კონკურსის მონაწილე გუნდებმა დღის პირველი ნახევარი ბიზნესგეგმაზე მუშაობასა და პრეზენტაციის მომზადებას დაუთმეს, მეორე ნახევარი – პრეზენტაციას. ჩატარებული სამუშაო ჟიურიმ შეაჯამა და დაასახელა გამარჯვებული გუნდი – **„არესი“**, ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრი. საუკეთესო შედეგები აჩვენეს თბილისის პროფესიული სწავლების ცენტრ „იკაროსის“ გუნდებმა – **„კაქტუსი“** და **„რიზოტო“**.

ეროვნულ კონკურსში გამარჯვებულები საერთაშორისო ფინალისთვის მოემზადებიან. ისინი სოფიაში ინოვაციური იდეის მქონე იმ 45 ახალგაზრდას (9 – სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპიდან, 15 – ბრიტანეთიდან) შორის იქნებიან, ვინც ერთმანეთს სხვადასხვა ეროვნების სტუდენტებით დაკომპლექტებულ გუნდებში შეეჯიბრებიან. იმედია, ევროპულ ასპარეზზე გასული ქართველი ახალგაზრდები წარმატებას მიაღწევენ.

ლალი თვალაგეიშვილი

„რასაც ვწერდი, ყველაფერს ადამიანთა სიყვარული მაწერინებდა“

დავით კლდიაშვილი – მითის გაცოცხლება

დავით ბარბაქაძე

თემურ ისლამოვი მოსწავლეებთან ერთად

ხშირად ხდება ასე: მწერალი იტყვის თავის სათქმელს, გადმოგვცემს ნააზრევს და მიდის მარადისობაში, იქცევა მითად, ლეგენდად. გადის წლები, საუკუნეები და მისი შემოქმედება თანდათან მეტ აქტუალობას იძენს, უფრო და უფრო ახლობელი და გასაგები ხდება მკითხველისთვის; მეტად მიმზიდველი – ახალგაზრდა თაობისთვის. სწორედ ასეთ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება დავით კლდიაშვილი. მის ნაწარმოებებში დახატული „შემოდგომის აზნაურები“ და იმერული კუდაბზიკობა დღესაც ყველასთვის ნაცნობია. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს 144-ე საჯარო სკოლაში მოემზადებინათ დავით კლდიაშვილის ვებგვერდი. პროგრამა „ირმის ნახტომის“ მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში განხორციელდა. პროექტზე მუშაობა სკოლამ 2008 წლის შემოდგომაზე დაიწყო. ჩართული იყო მთელი კოლექტივი, დირექცია: დირექტორი **მანანა კიკაჩეიშვილი**, მოადგილეები: **ეკა რაინაული**, **შორენა ზარდიაშვილი**; მოსწავლეები, მშობლები. ჩატარდა დიდი სამუშაო: ბავშვებმა შეისწავლეს და დაამუშავეს მწერლის ბიოგრაფია, შემოქმედება, მოიძიეს მასალები საჯარო ბიბლიოთეკიდან, პირადი წერილები და საინტერესო ფოტომასალა მოიპოვეს ლიტერატურის მუზეუმის არქივიდან; მოეწყო ექსკურსია მთაწმინდის პანთეონში მწერლის საფლავის მოსანახულებლად; მოსწავლეებმა მიაკვლიეს მწერლის სახლ-მუზეუმის ფოტოებს სოფელ სიმონეთიდან. დიდი კვლევა-ძიების მერე XI კლასის მოსწავლეებმა მიაგნეს მწერლის შთამომავლებს და ჩაწერეს ინტერვიუ დავით კლდიაშვილის შვილიშვილთან, **თემურ ისლამოვთან**. მისი დახმარებით შეადგინეს მწერლის გენეალოგიური ხე. VI-VII კლასელებმა მოაწყვეს ნახატების გამოფენა თემაზე „კლდიაშვილის იმერეთი“ და მწერლის მოთხრობების გაცნობის შემდეგ დაწერეს მცირე ესეები და თხზულებები.

VIII-IX კლასის მოსწავლეებმა მოამზადეს სპექტაკლი „ქამუშაძის გაჭირვების“ მიხედვით (ხელმძღვანელი ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი **თეა ქორქაშვილი**).

დავით კლდიაშვილის ვებგვერდის დიზაინი დახვეწილია და სრულყოფილი. შინაარსობრივად მოიცავს შემდეგ განყოფილებებს: *ბიოგრაფია, შემოქმედება, პირადი წერილები, მასზე, გალერეა, ჩვენ შესახებ.* საპროექტო ჯგუფის წევრები არიან: **ქეთევან ქათამაძე, მარინა ხუბუა, შორენა ზარდიაშვილი, ფიქრია შათირიშვილი, ხათუნა ჩოქური**. პრეზენტაცია 144-ე საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში გაიმართა. გთავაზობთ სტუმართა შთაბეჭდილებებს.

თემურ ისლამოვი, დავით კლდიაშვილის შვილიშვილი: *„ცრემლები მასწრებს, ემოციურად ძალიან დატვირთულია ეს დღე ჩემთვის. დიდი ბაბუა გამიცოცხლეთ. ძალიან ბედნიერი ადამიანი ვარ, რომ მოვესწარი ბაბუას შემოქმედების ახლებურ დანახვასა და გააზრებას. დიდი მადლობა ამ სკოლას, ყველა პედაგოგსა და მოსწავლეს, ვინც საკუთარი წვლილი შეიტანა დავით კლდიაშვილის ვებგვერდის მომზადებაში“.*

დავით ბარბაქაძე, „ირმის ნახტომის“ წარმომადგენელი: *„ირმის ნახტომი“ ბევრ კარგ პროექტს ახორციელებს, ერთ-ერთია ქართველ და უცხოელ ხელოვანთა ვებგვერდების შექმნა. ვფიქრობ, სწორედ ამ გზით დავაინტერესებთ მოზარდ თაობას ჩვენი კლასიკოსი მწერლების შემოქმედებით და აღარ მივცემთ საშუალებას, გაიხედონ ქუჩისკენ, აცდნენ ჭეშმარიტების გზას. ძალზე სასიხარულოა, რომ დავით კლდიაშვილის ვებგვერდი სწორედ დღეს მომზადდა. თანამედროვე გადასახედიდან ის იყო მწერალი, რომელიც წინ უსწრებდა დროს. სპექტაკლიდან, რომელიც ბავშვებმა წარმოადგინეს, კარგად ჩანს, რომ მათ გაითავისეს და მეტად შეიყვარეს მისი შემოქმედება“.*

დავით კლდიაშვილის ვებგვერდის შექმნა სწორედ დროული და ყურადსაღები ფაქტია. სკოლის დირექციას პროექტზე მუშაობისას დაებადა იდეა: მწერლის საფლავს არ ამშვენებს ბიუსტი. კარგი იქნება, თუ ამ ხარვეზის გამოსწორებისთვის იზრუნებენ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად. ვფიქრობთ, ამ იდეით დაინტერესდებიან კერძო პირებიც.

დასასრულ, გთავაზობთ ვასილ ბარნოვის სიტყვებს, რომელიც მან დავით კლდიაშვილის იუბილეზე წარმოთქვა: „ძმაო დავით! შენ რომ მთელი ცხოვრება იღვწოდი ხალხის კეთილდღეობისთვის, ხალხმაც დღეს შენ მოგიძღვნა სიყვარულის თაიგული!“

ქეთევან ქათამაძე
144-ე საჯარო სკოლის
პრესცენტრის ხელმძღვანელი

მეთოდიკა

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის გარშემო

ვაგრძელებთ მათემატიკის სწავლების მეთოდების მიმოხილვას მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად

ამჯერად შევეხებით: *„საბაზო ან საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებელს უნდა შეეძლოს მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის მოკლევადიანი საგაკვეთილო მიზნების განსაზღვრა გამოთვლების, მოდელირების, მსჯელობა-დასაბუთების, კომუნიკაციის და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების განსავითარებლად; დასახული მიზნების შესაბამისი, განსხვავებული სირთულის სავარჯიშოების შერჩევა ან შედგენა“.*

წინა წერილში („ახალი განათლება” – დეკემბრის ნომერი) ვისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ შეგვიძლია სავარჯიშო ვაქციოთ სიტუაციურ ამოცანად, ჯგუფში სამუშაო აქტივობად, როლურ თამაშად და ა.შ.

დღეს **სასწავლო პროცესის მოკლევადიანი დაგეგმვის** სტრატეგიებს შევეხებით.

ცხადია, მოკლევადიან დაგეგმვას, ძირითადად, გაკვეთილს ვუკავშირებთ.

გაკვეთილის კარგად დაგეგმვას კი მაშინ შევძლებთ, როცა მისი ნაწილების ცალ-ცალკე კარგად დაგეგმვას ვისწავლით. ასე, რომ

რჩევა I:

ჯერ გაიწაფეთ გაკვეთილის ერთი ნაწილის, ერთი აქტივობის დაგეგმვაში!

რა იგულისხმება გაკვეთილის ერთ ნაწილში?

გამოცდილების მქონე პედაგოგებს კარგად ახსოვთ, რომ ტრადიციული სწავლების დროს გამოყოფდნენ გაკვეთილის სამ ძირითად ნაწილს (ეტაპს): დასაწყისი, ძირითადი ნაწილი და დასასრული.

ვნახოთ რა მსგავსება და განსხვავებაა ამ ორი ტიპის სწავლების დროს, გაკვეთილის ეტაპებს შორის. მის შევსებას თქვენ მოგანდობთ:

თუ ცხრილს დაკვირვებით განიხილავთ, აღმოაჩენთ, რომ ბევრი რამ გამორჩენილია. იმედია, თქვენ უფრო მეტს გაიხსენებთ და დაამატებთ, რაც ცვლილებების აუცილებლობის გაანალიზებაში დაგეხმარებათ.

ტრადიციული სწავლება		არატრადიციული სწავლება	
გაკვეთილის ეტაპები	მიზანი	გაკვეთილის ეტაპები	მიზანი
I <u>**დასაწყისი:**</u> 1) სიის ამოკითხვა; 2) საშ. დავალების შემოწმება; 3) გამოკითხვა.	1) დასწრების შემოწმება; 2) შემოწმება, თუ როგორ იმუშავა მოსწავლემ სახლში დამოუკიდებლად (რეალურად კი სხვა შედეგს ვიღებდით); 3) შემოწმება ნიშნის დასაწერად იმაში, თუ როგორ დაიმახსოვრა მასალა მოსწავლემ.	I <u>**დასაწყისი:**</u> 1) საინტერესო შესავალი: მოსწავლეების ან მასწავლებლის მიერ წაკითხული, მოსმენილი ნანახი რაიმე ისტორია, ფაქტი ან მოვლენა, რომელიც პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით უკავშირდება საგნის როლსა და დანიშნულებას 2) გაკვეთილის მიზნის, აქტივობების განხორციელების და შეფასების ფორმების გაცნობა	მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება: მათში დამაჯერებლობის, საკუთარი თავის რწმენის, პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავება
II <u>**ძირითადი ნაწილი**</u> ახალი მასალის ახსნა	მოსწავლეებს უნდა მოესმინათ მასწავლებლისათვის, ან დაფიდან გადაეწერათ მასწავლებლის მოთხოვნის შემთხვევაში	II <u>**ძირითადი ნაწილი**</u> გაკვეთილის მიზნის მისაღწევი აქტივობები	მოსწავლეებში სწავლის სწავლების უნარ-ჩვევების ფორმირება, გამომუშავება
III <u>**დასასრული**</u> 1) მასწავლებლის მიერ ახსნილი მასალის გარშემო მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა; 2) მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისათვის ნიშნების დაწერა; 3) საშინაო დავალების მონიშვნა.	1) უნდა შემოწმებულიყო; ვინ უსმენდა და როგორ იმახსოვრებდა; 2) ყოველდღე 2 ან 3 ნიშანი უნდა ჩაეწერა მასწავლებელს ყოველ გაკვეთილზე, ჟურნალში; 3) აუცილებლობას წარმოადგენდა საშინაო დავალების მიცემა.	III <u>**დასასრული**</u>	გაკვეთილის შეჯამება: მოსწავლეების და მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი მიმოხილვა, რეფლექსია

როგორ დავგეგმოთ გაკვეთილის ერთი რომელიმე ნაწილი, ეტაპი?

რჩევა II:

გაკვეთილის ნებისმიერი ნაწილის დაგეგმვისას მასწავლებელი:

- ქმნის ისეთ სასწავლო კლიმატს, რომელიც ურთიერთნდობაზე, მზრუნველობაზე, ურთიერთპატივისცემაზე და თვითპატივისცემაზე იქნება დაფუძნებული;
- ყოველთვის მხარს უჭერს მოსწავლეთა პიროვნულ ინიციატივებს;
- უპირატესობას ანიჭებს თანამშრომლობას (მოსწავლე-მოსწავლე; მოსწავლე-მასწავლებელი; მასწავლებელი-მასწავლებელი), როგორც სწავლების წამყვან სტრატეგიას;
- სწავლებას, ძირითადად, წარმართავს მცირე (2 მოსწავლე) ან საშუალო (4-5 მოსწავლე) ჯგუფებში და არა ყველა მოსწავლესთან ერთდროულად;
- ითვალისწინებს იმას, რომ მისი საუბრის ხანგრძლივობა არ სჭარბობდეს გაკვეთილზე მოსწავლეების საუბრის ხანგრძლივობას;
- დასაშვებად მიიჩნევს, გაკვეთილის მსვლელობისას, გეგმაში კორექტირების შეტანას;
- აღიარებს მრავალფეროვნების როლს მეთოდების (დიდაქტიკური, სოციალური, სოკრატული, მონოლოგი, ევრისტიკული, დამოუკიდებელი), ხერხების, ფორმების (შეფასებისას: ურთიერთშეფასების, თვითშეფასების, მასწავლებლის მიერ შეფასების), სტრატეგიების (იგნორირებას არ უკეთებს არც ერთ მოსწავლეს, აკეთებს ყოველ მოსწავლეზე კონსტრუქციულ გამოხმაურებას) შერჩევისას;
- ითვალისწინებს მოსწავლის სწავლის სტილს და საჭიროებებს;
- უპირატესობას ანიჭებს მოსწავლის ინტერესს და ცდილობს, გამოიყენოს მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩასართავად.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ იწყებს მასწავლებელი გაკვეთილს. ამიტომ ჩვენც უპირველესად გაკვეთილის დასაწყისის დაგეგმვის სტრატეგიებზე შევჩერდებით.

მიზანი:

მოსწავლეთა მოტივაცია

ზოგიერთი მოსწავლე დიდი ენთუზიაზმით ეკიდება სწავლას, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც მასწავლებლის მხარდაჭერის გარეშე სწავლისადმი დიდ ინტერესს არ იჩენენ. მათ მუდმივად სჭირდებათ მასწავლებლის შექება, სტიმული და თანადგომა.

„სწორედ მასწავლებლის ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული, რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს სწავლება კლასში, რამდენად შეძლებს მასწავლებელი მოსწავლეების დაინტერესებას ისე, რომ მათ სწავლა **„ნომერ პირველ ამოცანად გაიხადონ“.**

რაც უფრო მეტად მოტივირებულები არიან მოსწავლეები, მით მეტია სწავლის ხარისხი და პირიქით.

სამწუხაროდ, არ არსებობს ჯადოსნური რეცეპტი, რომელიც მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას შეუწყობს ხელს, რადგან მოტივაციას ძალიან ბევრი ფაქტორი განაპირობებს. მაგ: რამდენად აინტერესებს მოსწავლეს ესა თუ ის საგანი, რამდენად გრძნობს ამა თუ იმ საგნის საჭიროებას, როგორია მოსწავლის თვითშეფასება (ანუ სჯერათ თუ არა საკუთარი ძალების, იმის, რომ საგნის შესწავლას შეძლებენ); აქვთ თუ არა მოთმინება და შრომის უნარი (ბლაი, 1972; სასი, 1989).

ზოგი მოსწავლე თითქოს სხვის დასანახად სწავლობს, ანუ მხოლოდ შექებისთვის, ზოგისთვის კი შექება მეტი ცოდნის შეძენის სტიმულია.

ძალიან ბევრი მეცნიერი ცდილობს მისცეს მასწავლებლებს რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარებათ მათ მოსწავლეთა თვითმოტივაციაში(ლოუმენი, 1984; ლუკასი, 1990; ვეინერტი და კლუვე, 1967; ბლაი, 1971).

ეს რეკომენდაციებია:

1) რაც შეიძლება ხშირად ჩააგონეთ თქვენს მოსწავლეებს, რომ მათ „ყველაფერი კარგად გამოუვათ”.

2) მიეცით მათ საშუალო სირთულის დავალება, რომელიც არც ძალიან **ეადვილებათ** (და არა თქვენი აზრითაა ადვილი), არც ძალიან **ერთულებათ.** წარმატების შემთხვევაში ისინი **საკუთარი თავის რწმენით აღივსებიან.**

3) დაეხმარეთ მოსწავლეებს გაიგონ, რომ ისინი დავალებას აკეთებენ არა თქვენთვის არამედ საკუთარი ცოდნის დონის ასამაღლებლად.

4) დაეხმარეთ მოსწავლეებს, თავი კლასის სრულუფლებიან წევრებად იგრძნონ (ისინი უნდა გრძნობდნენ, რომ მათ მიერ გამოთქმული აზრი ღირებულია და მათ ანგარიშს უწევენ).

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა ინტერესი სწავლისადმი მით უფრო დიდია, რაც უფრო სრულყოფილადაა ორგანიზებული სასწავლო კურსი და რაც უფრო მაღალი დონის **მასწავლებელი** ჰყავთ.

ზოგადი სტრატეგიები

ხელი შეუწყვეთ მოსწავლეთა თვითმოტივაციის ამაღლებას

ნუ ეცდებით თქვენი ძალაუფლების უხეშად გამოყენებას. ამოიღეთ თქვენი ლექსიკონიდან ისეთი სიტყვები, როგორიცაა : „მე მინდა”, „მე მოვითხოვ” , „თქვენ უნდა” და ა.შ. უკეთესი იქნება ისეთი სიტყვების გამოყენება, როგორიცაა : „მე ვფიქრობ, თქვენ შეძლებთ”, „საინტერესოა თქვენი რეაქცია“... (ლოუმენი – 1990)

ნუ დაუშვებთ მწავავე კონკურენციას მოსწავლეებს შორის

კონკურენცია ხშირად დიდ ემოციებთანაა დაკავშირებული, რამაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს სწავლების პროცესზე. **არაჯანსაღი** კონკურენციის დროს მოსწავლეები ეჯიბრებიან ერთმანეთს და ეს არც თუ ისე კარგი ტენდენციაა.

მეცნიერი ბლეი გვასწავლის, რომ მოსწავლეები ბევრად უფრო მობილიზებულები არიან მაშინ, როცა ისინი ჯგუფებში მუშაობენ. ჯგუფებში მუშაობის მრავალ პოზიტიურ შედეგზე საუბრობს კ. როჯერსიც. მოსწავლეები ამ დროს უფრო თავისუფალნი არიან და უფრო მეტ ცოდნას ამჟღავნებენ. უფრო პროდუქტიულად შრომობენ, როცა ჯგუფის ინტერესებიდან ამოდიან. არ არის საჭირო მოსწავლის კრიტიკა კლასის წინაშე, არასასიამოვნო კომენტარების გაკეთება ჯგუფის მიერ ჩატარებული საქმიანობის შესახებ. **ეს ბავშვებს ცუდად განაწყობს ერთმანეთის მიმართ** (ებლი, 1088; ფორსიტი და მაკმილანი, 1991).

სწორად ორგანიზებული სასწავლო კურსი მოსწავლეების მოტივაციის საწინდარია

ააგეთ სასწავლო პროცესი მოსწავლეების ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით

გამოიკვლიეთ, რატომ ესწრებიან (ან არ ესწრებიან) მოსწავლეები თქვენს გაკვეთილს, რას ფიქრობენ ამ საგნის შესახებ და რას ელიან სასწავლო კურსისგან. მოიყვანეთ, რაც შეიძლება მეტი მაგალითი, რომელიც ამ საგნის როლსა და ადგილზე, მის დამსახურებაზე მიუთითებს. მასწავლებელმა უნდა ხშირად აუხსნას მოსწავლეებს ამ საგნის ცოდნის მნიშვნელობა, როგორ ეხმარება იგი მათ პროფესიული კარიერის შექმნაში, ცხოვრებაში ადგილის დამკვიდრებაში, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლაში (ბროკი, 1976; ქეშინი,1979; ლუკასი, 1990).

შეძლებისდაგვარად, მიეცით მოსწავლეებს არჩევანის უფლება

მიეცით მოსწავლეებს სასწავლო თემატიკის არჩევის, დავალების არჩევანის უფლება (მაგრამ არა ტესტების). მაგალითად, ორი გამოსაკვლევი ობიექტიდან აირჩიოს ერთი და საფუძვლიანად შეისწავლოს.

სასწავლო მეთოდთა მრავალფეროვნება

მრავალფეროვნება სასწავლო პროცესს სახალისოს და სასიამოვნოს ხდის. მოსწავლეები აქტიურად ებმებიან სასწავლო პროცესში და დრო მათთვის შეუმჩნევლად გადის. თავად გათავისუფლდით რუტინისაგან და გამოიყენეთ ისეთი მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა როლებით თამაში, დებატი, დისკუსია, კეთებით სწავლა, ჯგუფებში მუშაობა და სხვ. (ფორსიტი და მაკმილანი, 1991).

ასწავლეთ მოსწავლეებს, როგორ მიაღწიონ წარმატებებს სწავლაში

არ არის საჭირო მოსწავლეებს უკიჟინოთ, როგორები უნდა იყვნენ, უკეთესი იქნება, დაარწმუნოთ თავიანთ შესაძლებლობებში და ასწავლოთ, თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიონ. მაგალითად, არ არის საჭირო მოსწავლეს შეახსენოთ, რომ სწავლაში ჯგუფს ძალიან ჩამორჩა, ამას სჯობს, უთხრათ: „მე მგონია, ეს მასალა დაგეხმარება ამ საკითხის გაგებაში და, თუ რაიმე პრობლემა შეგექმნება, მოდი და დაგეხმარები”. **ბავშვმა უნდა იგრძნოს, რომ მასზე გულწრფელად ზრუნავთ** (ქეშინი, 1979; ტიბერიუსი, 1990).

მომდევნო წერილში შევეხებით აქტივობების დაგეგმვას, ანუ **გაკვეთილის ძირითადი ნაწილის** დაგეგმვის პროცესს.

ნელი ნასყიდაშვილი,
მათემატიკის მასწავლებელი, ტრენერი.

გამოყენებული ლიტერატურა:
ეროვნული სასწავლო პროგრამებისა და შეფასების ცენტრის დანერგვის ცენტრის მასალები;
საკუთარი კვლევები და გამოცდილება.

მეთოდიკა

გაკვეთილი ბიოლოგიაში. IX კლასი

გაკვეთილის თემა: საჭმლის მომნელებელი არხის კედლის აგებულება. მონელება პირის ღრუში.

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ საჭმლის მომნელებელი არხის კედლის აგებულების აღწერა და დაუკავშირონ მის ფუნქციას; აღწერონ, თუ რა ცვლილებებს განიცდის საკვები პირის ღრუში; იმსჯელონ ნერწყვის შედგენილობის და ფუნქციის შესახებ; ჩაატარონ ექსპერიმენტი.

გამოყენებული მასალა: ანატომიის ატლასი ან პლაკატი, სადაც გამოსახულია საჭმლის მომნელებელი არხის აგებულება, პლაკატი ადამიანის პირის ღრუს გამოსახულებით; ასევე ფორმატები, პურის ნაჭრები.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, ჯგუფური.

გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები: საშინაო დავალების შემოწმება, ახალი მასალის წარდგენა, საშინაო დავალების პირობის განმარტება.

გაკვეთილის დრო: 45 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გაკვეთილს ვიწყებ საშინაო დავალების შემოწმებით. შემდეგ მივმართავ კლასს:

წინა გავეთილზე დავიწყეთ ადამიანის საჭმლის მომნელებელი სისტემის განხილვა. შევისწავლეთ მონელების დანიშნულება ორგანიზმისთვის და განვიხილეთ საჭმლის მომნელებელი ორგანოები. საშინაო დავალების შემოწმების მიზნით მოსწავლეებს ვთავაზობ შემდეგ კითხვებს:

1. რა პროცესია მონელება?
2. როგორია საჭმლის მონელების დანიშნულება?
3. რომელი ორგანოები მონაწილეობენ მონელებაში?
4. რომელი ორგანოები შეადგენენ მომნელებელ არხს?
5. რომელი ჯირკვლები მონაწილეობენ მონელების პროცესში?
6. როგორ ხორციელდება მონელება ერთუჯრედიან ორგანიზმებში? (ამებას მაგალითზე);
7. როგორია ხერხემლიანთა საჭმლის მომნელებელი სისტემის აგებულება? (თევზის, ხვლიკის, მტრედის მაგალითზე) (10 წთ.).

აღნიშნული კითხვების საშუალებით ვახდენ მოსწავლეთა შეფასებას.

საშინაო დავალების შემოწმების შემდეგ მოსწავლეებს მივმართავ, რომ ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მომნელებელი სისტემის შესწავლა და განვიხილოთ საჭმლის მომნელებელი არხის აგებულება და მონელების პროცესი პირის ღრუში.

მოსწავლეებს ვთხოვ, განვლილი მასალიდან გაიხსენონ, რომ ცოცხალი ორგანიზმები უჯრედებისგან არიან აგებულნი, ხოლო უჯრედები ქმნიან ქსოვილებს, რომლებიც, თავის მხრივ, ორგანოთა აგებაში მონაწილეობენ (მოსწავლეებმა უნდა ჩამოთვალონ ქსოვილთა 4 ძირითადი ჯგუფი და გაიხსენონ მათი აგებულება და ფუნქციები) (3 წთ.).

დაფაზე ვკიდებ პლაკატს ადამიანის საჭმლის მომნელებელი არხის კედლის აგებულების გამოსახულებით. მოსწავლეებს ვეტყვი, რომ არხის კედლის აგებაში სამი ტიპის ქსოვილი მონაწილეობს: გარედან არხს შემაერთებელი ქსოვილი აკრავს, შუა შრე გლუვი კუნთებითაა წარმოდგენილი, ხოლო შიგნიდან, არხი ამოფენილია ეპითელური ქსოვილით (2 წთ.).

საუბრის შემდგომ მოსწავლეებს ვყოფ ჯგუფებად და ვაძლევ დავალებას, იმსჯელონ, რა ფუნქციას ასრულებს აღნიშნული ქსოვილები და როგორ არის ეს დაკავშირებული მომნელებელი არხის ორგანოთა ფუნქციასთან (4 წთ.).

პრეზენტაციები: (6 წთ.)

პრეზენტაციისას დაფაზე ვავსებთ შემდეგ სქემას:



შემდეგ მოსწავლეებს ვეტყვი, რომ მონელების პროცესი პირის ღრუში იწყება და რთული ნახშირწყლები, მაგალითად სახამებელი, მარტივ ნახშირწყლად – გლუკოზად გარდაიქმნება. ამაში დასარწმუნებლად მოსწავლეებს ვთავაზობ ექსპერიმენტის ჩატარებას.

I ეტაპი: მოსწავლეებმა უნდა აიღონ პურის პატარა ნატეხი, დაღეჭონ და გადაყლაპონ, ფურცელზე ჩაიწერონ, თუ როგორი გემო ჰქონდა პურს.

II ეტაპი: მოსწავლეებმა კვლავ უნდა აიღონ პურის პატარა ნატეხი და, ამჯერად, ცოტა დიდხანს ღეჭონ. შედეგი დააფიქსირონ ფურცელზე. (5 წთ.). შედეგები შეადარონ.

ექსპერიმენტის შემდეგ იმართება მცირე დისკუსია (3 წთ.).

მივდივართ დასკვნამდე, თუ პურს დიდხანს დავღეჭავთ, იგი მოტკბო გემოს შეიძენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ნერწყვში შემავალი ფერმენტების საშუალებით პურში არსებული სახამებელი გლუკოზად დაიშალა. ექსპერიმენტიდან გამომდინარე კიდევ ერთ დასკვნას ვაკეთებთ: ნერწყვი შეიცავს მომნელებელ ფერმენტებს.

გაკვეთილს გავაგრძელებ საუბრით, რომ პირის ღრუ შიგნიდან ეპითელური ქსოვილით არის ამოფენილი და უამრავ უჯრედს შეიცავს, რომლებიც ნერწყვის გამომუშავებაში მონაწილეობენ. გარდა ამისა, ნერწყვს გამოიმუშავებს სამი წყვილი სანერწყვე ჯირკვალი – ყბა-ყურის, ენისქვეშა და ყბისქვეშა, რომლებიც სპეციალური სადინარებით იხსნებიან პირის ღრუში (შესაბამის ჯირკვლებს ვაჩვენებ პლაკატზე). მოსწავლეებს ვეტყვი, რომ ენისქვეშა ჯირკვლიდან ნერწყვის გამოყოფის დანახვა თავადაც შეუძლიათ, თუ სარკესთან დადგებიან და ენას ზემოთ ასწევენ (ეს ცდა შესაძლოა კლასშიც ჩავატაროთ). შემდეგ ვიწყებ საუბარს ნერწყვის შედგენილობის შესახებ. დაფაზე ვკიდებ სქემას.

სქემაზე მოცემულ ყველა კომპონენტს ვუკეთებ განმარტებას. აღვნიშნავ, რომ წყალი საკვების დასველებას და დარბილებას ემსახურება; ლორწო ნერწყვს სიბლანტეს ანიჭებს; ფერმენტები პირის ღრუში ნახშირწყლების დაშლას ახორციელებენ, ხოლო ნივთიერება ლიზოციმი ხოცავს ბაქტერიების ნაწილს, რომლებიც საკვებთან ერთად ხვდებიან პირის ღრუში. ვაკეთებთ დასკვნას, რომ პირის ღრუში საკვები სველდება, ქუცმაცდება, ფერმენტებით მუშავდება და გაუსნებოვნდება (3 წთ.).

გაკვეთილის შეჯამების მიზნით, მოსწავლეებს ჯგუფებში ვაძლევ დავალებას, შეავსონ შემდეგი ცხრილი: (4 წთ.).

ნერწყვში შემავალი კომპონენტები	ფუნქცია
1. 2. 3. 4.	

პრეზენტაციები (5 წთ.).

გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეებს ვეტყვი, რომ შემდეგ გაკვეთილზე კბილების აგებულებას და ფუნქციებს განვიხილავთ. მივცემ შესაბამის საშინაო დავალებას.

ნატა ბიჭიკაშვილი,
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
გაეროს ასოციაციის საერთაშორისო სკოლა

ინფორმაცია

მნიშვნელოვანი წარმატება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, უკვე მეორედ, რეგისტრირებულია მსოფლიოში მაღალი რეიტინგის მქონე უნივერსიტეტების რეესტრში

მსოფლიოს უნივერსიტეტთა რეიტინგის (World Universities' ranking on the Web) 2008 წლის რეესტრის მიხედვით, საქართველოს ყველაზე რეიტინგულ უმაღლეს სასწავლებლად მხოლოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტია აღიარებული.

შეფასდა საქართველოს შემდეგი უმაღლესი სასწავლებლების მონაცემები: კავკასიის უნივერსიტეტი, ESM-თბილისი (ევროპის მენეჯმენტის სკოლა), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შავი ზღვის უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, გ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი, ზ. ჟვანიას სახელობის საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA). მათგან მხოლოდ თსსუ მოხვდა მსოფლიოს მაღალი რეიტინგის მქონე 4000 უმაღლეს სასწავლებელს შორის.

მსოფლიოში მაღალი რეიტინგის მქონე 4000 უნივერსიტეტის რეიტინგი, ყოველწლიურად, განისაზღვრება Webometrics-ის ექსპერტების ჯგუფის მიერ, რომელიც შედის საერთაშორისო დონეზე აღიარებული კვლევითი ცენტრის – CSIC-ის (ესპანეთი) შემადგენლობაში. ეს უკანასკნელი (ცნობილი შანხაის ჯგუფის მსგავსად) მსოფლიოში მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ და სანდო კვლევით ცენტრად, მის შემადგენლობაში შედის 126 კვლევითი ინსტიტუტი. რეიტინგის შედგენისას Webometrics ხელმძღვანელობს UNESCO-ს და აშშ-ს უმაღლესი განათლების პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ შექმნილი რეიტინგის განმსაზღვრელ საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის (IREG) პრინციპებით, რომლებიც ბერლინის, 2006 წელს მიღებულ, კონვენციაშია ასახული.

Webometrics, ყოველწლიურად, აანალიზებს მსოფლიოს 16 000-ზე მეტი უნივერსიტეტის მონაცემებს და აქედან მხოლოდ 4000 უმაღლეს სასწავლებელს ანიჭებს რეიტინგს, რომელიც უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო აქტიურობას, პოპულარობას, პრესტიჟულობას ასახავს და მომავალ სტუდენტებს და უნივერსიტეტის პოტენციურ უცხოელ პარტნიორებს აწვდის ინფორმაციას.

ეს წარმატება იმ ძირეული რეფორმის შედეგია, რომელიც უნივერსიტეტში უკანასკნელი წლების მანძილზე მიმდინარეობს. ეს პატივი თსსუ-ს უკვე მეორედ ხვდა წილად, რაც ნამდვილად სასიხარულო და სტიმულის მიმცემია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის, თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის.

* * *

თსსუ-მ უმასპინძლა გერმანიის ქ. კარლსრუეს იმპლანტოლოგიური კლინიკის ხელმძღვანელს და, ამავე დროს, თსსუ საპატიო პროფესორს, **ჰერმან შნორბახს** და კარლსრუეს წითელი ჯვრის ორგანიზაციის წევრებს - **იურგენ შლინდვეინს** და **ვოლფგანგ კორტუსს**.

პროფ. ჰერმან შნორბახმა წაიკითხა ლექციები თსსუ სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისა და რეზიდენტებისათვის იმპლანტოლოგიის თანამედროვე მეთოდების შესახებ.

იურგენ შლინდვეინი და ვოლფგანგ კორტუსი შეხვდნენ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს და წაიკითხეს ლექციათა კურსი „პირველადი დახმარება და სანავიაციური სამსახურების ორგანიზება".

კარლსრუეს დელეგაციის წევრები შეხვდნენ თსსუ რექტორს, პროფესორ **გიორგი მენაბდეს** და განიხილეს გერმანიის საუნივერსიტეტო კლინიკებთან და კარლსრუეს წითელ ჯვართან ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები, თსსუ-ს შესაძლო როლი გადაუდებელი სამედიცინო სამსახურისათვის ექიმთა გადამზადების საქმეში.

* * *

თსსუ რექტორმა, პროფესორმა **გიორგი მენაბდემ** ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ, რომელიც გაფორმდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ხარკოვის (უკრაინა) პოსტდიპლომური განათლების სამედიცინო აკადემიას შორის.

ხელშეკრულების ძირითადი ასპექტები მოიცავს ერთობლივ მუშაობას კლინიკურ, კვლევით და საგანმანათლებლო სფეროებში, კერძოდ: დიპლომამდელ და დიპლომისშემდგომ განათლებასა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სასწავლო მასალების გაცვლა, კლინიკური გამოცდილების გაზიარება, სტუდენტთა/რეზიდენტთა და ახალგაზრდა სპეციალისტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, აღნიშნული უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებელთა ჩართვა სამეცნიერო პროგრამებში და მათი ნაშრომების გამოქვეყნება შესაბამის ჟურნალებში, პროფესიული კონფერენციების მომზადება და სხვ.

პროფესიონალთა კლასი

ფიზიკოსთა სამი თაობა ერთი ოჯახიდან

1967 წლის თბილისის გაგანია ზაფხულია. ელენე სურგულაძე მორიგი საკავშირო პედაგოგიური კონფერენციისთვის ემზადება, მოხსენებისათვის საჭირო მასალას აგროვებს. საწერი მაგიდა წიგნებით, ბროშურებით, ნახაზებით თუ ცხრილებითაა მოფენილი. კარი იღება და ამაყად, გაბრწყინებული სახით ოთახში შემოდის ელენეს 13 წლის ქალიშვილი მანანა კასრაძე.

– დედა, მე „კომაროვის“ მერვე კლასში ჩავირიცხე. კონკურსის შედეგები დღეს გამოცხადდა.

ელენე დაიბნა. გაოცებისაგან არ იცოდა, რა ეთქვა. შვილის დამოუკიდებელმა საქციელმა გააკვირვა. აქამდე – ბებია, ბაბუა და ორი დეიდა, რიგრიგობით, ყველგან თან დასდევდნენ მანანას: სამუსიკო სკოლაში, კონცერტებზე, კინოთეატრებში, ოპერაში თუ სხვაგან. ახლა კი აღმოჩნდა, რომ გოგონა ქალაქის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში, ყველასაგან დამოუკიდებლად წასულა კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლაში, მისაღები გამოცდებიც ჩაუბარებია და თან ყველაფერ ამას კონკურსის შედეგების გამოცხადებამდე მალავდა.

სიურპრიზები ამ ოჯახში ამით არ დასრულებულა.

„ვეჩერნი ჩელიაბინსკში“ გამოქვეყნებული ფოტო — ელენე სურგულაძე ულოცავს მანანას სადოქტორო დისერტაციის დაცვას

* * *

ელენე სურგულაძე დაიბადა თბილისში, 1931 წელს. მამის რეპრესიების მიუხედავად, სკოლა მედალზე დაამთავრა (დედა – პედაგოგი, მამა – ეკონომისტი, 1936-39 წლებში გადასახლებული ციმბირში, ბრალდებით „ტროცკისტი – სახელმწიფო მოღალატე“).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაშინ მედალოსნებს უგამოცდოდ იღებდნენ და ელენეც, საქართველოს სხვა საუკეთესო 60 მედალოსანთან ერთად, უგამოცდოდ ჩაირიცხა ფიზიკა-ტექნიკის (მოგვიანებით „ფიზიკის“) ფაკულტეტზე. კურსზე გოგონები მხოლოდ სამნი იყვნენ. ფიზიკის ფაკულტეტი მხოლოდ 35-მა დაამთავრა. მათ შორის იყო ელენეც.

მოგვიანებით თავის კურსელზე-ვე იქორწინა და ეყოლა ორი შვილი – მანანა და ვახტანგი.

სწავლა არც ერთი დღე არ შეუწყვეტია. სულ მალე, ასპირანტურა დაამთავრა და საკანდიდატოც დაიცვა ფიზიკის სწავლების მეთოდიკაში.

ელენე სურგულაძის შრომითი მოღვაწეობა საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია:

თბილისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-მუშაკი. ამავე დროს, იყო ჟურნალის „ფიზიკა-მათემატიკა სკოლაში“ ჯერ რედაქტორი, შემდეგ რედაქტორის მოადგილე, დაბოლოს (გადაულოცა რა ეს საქმე ახალ თაობას). მისი აქტიური კონსულტანტი. პარალელურად, გაკვეთილებს ატარებდა საშუალო სკოლაში;

საქართველოს ტელევიზიაში, 20 წლის განმავლობაში, მიჰყავდა სანიმუშო-საჩვენებელი გაკვეთილები ფიზიკაში. მას სიამოვნებით უსმენდნენ და უყურებდნენ როგორც მასწავლებლები, ასევე მოსწავლეები;

ატარებდა პედაგოგიურ კითხვებს, წელიწადში ორჯერ, რესპუბლიკის ფიზიკის მასწავლებლებისთვის;

უშვებდა სამეცნიერო-მეთოდურ და სარეკომენდაციო ბროშურებს ფიზიკის სწავლებაში;

სისტემატურად დადიოდა მივლინებებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ფიზიკის მასწავლებლებისათვის ადგილზე მეთოდური დახმარების გასაწევად;

წლების განმავლობაში მისაღებ გამოცდებს იბარებდა თბილისის სხვადასხვა უმაღლეს და ტექნიკურ სასწავლებლებში;

სისტემატურად იწვევდნენ მოსკოვში საკავშირო პედაგოგიურ კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. მის სტატიებსა თუ მოხსენებებს, სისტემატურად, ბეჭდავდნენ ჟურნალში: *„Физика в школе“*, რომელიც დღესაც ერთ-ერთი პრესტიჟული ჟურნალია და გამოდის მოსკოვში. ამ ჟურნალის მეცნიერ-კონსულტანტების 12 წევრიდან მხოლოდ ელენე იყო კავკასიის რეგიონის წარმომადგენელი.

ბოლო ოცი წლის განმავლობაში გამოვიდა ელენე სურგულაძის რამდენიმე სახელმძღვანელო:

1. ბუნებისმეტყველება 5 (საცდელი მასალა), თბილისი, 1988 წ.
2. დედამიწა 5, „განათლება“, 1996 წ.
3. ფიზიკა 7, „ინტელექტი“, 1997-2006 წ.
4. ფიზიკა 8, „ინტელექტი“, 1998-2006 წ.
5. ფიზიკა 9, „ინტელექტი“, 2004 წ.

* * *

მანანა კასრაძე დაიბადა 1954 წელს, თბილისში. 1970 წელს დაამთავრა კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა.

იმ წლებში პრაქტიკაში იყო რუსეთის სხვადასხვა სასწავლებლიდან „მოძმე“ რესპუბლიკებში ლიმიტების გაგზავნა. აბიტურიენტებს შეეძლოთ, აერჩიათ სასურველი სასწავლებელი და თბილისის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში, ივლისშივე, ჩაებარებინათ მისაღები გამოცდები რუსულ ენაზე. გამსვლელი ქულების მიღების შემთხვევაში, ისინი ჩაირიცხებოდნენ რუსეთიდან მოსულ სპეციალობებზე ლიმიტირებულ სასწავლებელში.

მანანამ უყოყმანოდ აირჩია მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და ივლისშივე სტუდენტი გახდა.

ფიზიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ცოლად გაჰყვა თავის კურსელს და ეყოლა ვაჟიშვილი **ანდრო დამერი**.

მაშინდელი კანონების მიხედვით, თუ ასპირანტურაში სწავლის გაგრძელებას დააპირებდი, ჯერ 2 წელი სადმე უნდა გემუშავა. მანანამაც თბილისის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად მუშაობა არჩია. დედასავით, ფიზიკის სწავლების მეთოდიკაში გადაწყვიტა მუშაობა.

ასპირანტურისთვის ისევ მოსკოვში გაემგზავრა. საკანდიდატო დისერტაციაც იქვე დაიცვა.

მანანას მეუღლის ბაბუა, 1941 წელს, გერმანიასთან ომის დაწყებისთანავე, ლენინგრადიდან გაასახლეს, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში მცხოვრები სხვა გერმანელი მოქალაქეები. ასე აღმოჩდნენ დამერები ციმბირის ქალაქ ჩელიაბინსკში.

საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ, მანანა მეუღლესთან ერთად, ამ უშორესი ქალაქის – ჩელიაბინსკის – მაცხოვრებელი გახდა.

სულ მალე გააცნო თავი ქალაქის საზოგადოებას და მისი კარიერა წარმატებულად მიდიოდა წინ. პედაგოგიკის ასისტენტიდან კათედრის გამგემდე მალე მიაღწია. მის მიერ გამოცემულ ფიზიკის სახელმძღვანელოებს მთელი ციმბირი ახლაც სწავლობს.

მანანამ არც სადოქტორო დისერტაცია დააგვიანა. 1997 წლის 20 თებერვლის გაზეთის „ვეჩერნი ჩელიაბინსკში“ ვკითხულობთ: *„ჩელიაბინსკის სახელმწიფო პედაგოგიკის უნივერსიტეტისთვის გასული დღე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო. საბჭოზე დისერტაცია დაიცვეს ერთბაშად ოთხმა მაძიებელმა. ისინი რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან იყვნენ.*

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ჩვენი, ჩელიაბინსკელი დოქტორი მანანა დიმიტრის ასული დამერი, რომელმაც დისერტაცია დაიცვა თემაზე „ფიზიკის წინმსწრები კურსის შედგენის მეთოდური საფუძვლები“. მისი ნაშრომების ჩამონათვალში არის ფიზიკის რამდენიმე საუკეთესო სახელმძღვანელო. სხვათა შორის, მის დაცვაზე საგულშემატკივროდ ჩამოვიდა დედა – ელენე გიორგის ასული, პედაგოგიკის მეცნიერების კანდიდატი ფიზიკის სწავლების მეთოდიკაში. მუშაობს თბილისის პედაგოგიკის კვლევით ინსტიტუტში წამყვან მეცნიერად. ასე გაუსწრო შვილმა დედას მეცნიერებაში“.

2002 წლიდან მანანა კასრაძეც შეუერთდა დედას ფიზიკის სახელმძღვანელოების გადახალისებასა და თანამედროვე ფიზიკის მეცნიერების მიღწევების მოსწავლეებისათვის მისაწვდომ და საინტერესო ფორმით გადმოცემაში.

მალე ელენეს და მანანას ვახტანგიც (მეორე შვილი) შეუერთდა და შეიქმნა საინტერესო და სასარგებლო სახელმძღვანელოები ფიზიკაში.

ქართულ პედაგოგიკაში, კერძოდ ფიზიკის სწავლების მეთოდიკაში, მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისათვის, დოქტორ მანანა კასრაძეს თბილისის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიამ აკადემიკოსის წოდება მიანიჭა.

დედის – ელენე სურგულაძისა და შვილების – მანანა და ვახტანგ კასრაძეების ერთობლივი ნამუშევრებია:

1. ფიზიკა 7, თბილისი, „ინტელექტი“, 2006 წ.
2. ფიზიკა 8, თბილისი, „ინტელექტი“, 2002 წ.
3. ფიზიკა 9, „ინტელექტი, 2004 წ.
4. ფიზიკის სწავლების მეთოდიკა, IX კლასი, 2004 წ.
5. ფიზიკის სწავლების მეთოდიკა, VII კლასი, 2006 წ.

მანანა კასრაძის შვილი ანდრო დამერი მუსიკოსია. დამთავრებული აქვს თბილისის ჯაზ-აკადემია. ანდროს თბილისში ბევრი მეგობარი ჰყავს. რამდენიმე კარგი კონცერტიც აქვს ჩატარებული ცნობილ მუსიკოსებთან ერთად (**ნიკა მემანიშვილთან, ნინო ქათამაძესთან** და სხვ.). ანდროს შესთავაზეს თბილისის ჯაზ-აკადემიაში მუშაობა, მაგრამ იძულებული გახდა (მამის გარდაცვალების გამო) ჩელიაბინსკში გამგზავრებულიყო.

* * *

ელენეს მეორე შვილმა, **ვახტანგ კასრაძემაც** დას მიბაძა და „კომაროვის“ დამთავრების შემდეგ მოსკოვის ბაუმანის სახელობის უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა. ვაჟებისათვის ეს იყო ყველაზე პრესტიჟული სასწავლებელი, სადაც უცხოელებს არ იღებდნენ, რადგან ყველა საგანი გასაიდუმლოებული იყო. სტუდენტებს აკრძალულიც კი ჰქონდათ თავის სასწავლებელზე საუბარი, რადგანაც დირექციას (პირველ რიგში კი, მთავრობას) ეშინოდა, ჯაშუშებს რაიმე ინფორმაცია არ ჩაეგდოთ ხელში – აქ ხომ სსრკ-ს ყველა საიდუმლო პროექტის შემდგენელ მეცნიერ-ინჟინერთა თაობებს ზრდიდნენ (კოსმოსი, სამამულო იარაღი, ატომური სადგურები და სხვ.).

„ბაუმანის“ დამთავრების შემდეგ (მიუხედავად იმისა, რომ წინადადება მისცეს ასპირანტურაში დარჩენისა) იგი დაბრუნდა თბილისში და მაშინვე დაინიშნა თბილისის იზოტოპების ქარხნის ინჟინერ-ფიზიკოსად. მისი სამეცნიერო შრომები იბეჭდება სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში, მათ შორის ჟურნალში „ამერიკა“.

თბილისის იზოტოპების ქარხანა აქამდე რომ ფუნქციონირებს, ვახტანგ კასრაძის მრავალფეროვანი პროექტების წარმატებული განხორციელების შედეგიცაა.

მარიამ სურგულაძე
პედაგოგი

P.S. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მანანა შვილთან ერთად საცხოვრებლად საქართველოში გადმოსვლაზე ოცნებობს, რათა მთელი თავისი შესაძლებლობები სამშობლოს მოახმაროს. ღმერთმა ქნას, კასრაძე-დამერების ოჯახის ეს სანუკვარი სურვილი მალე ასრულებულიყოს.

ელენე სურგალაძემ 50 წელი ხალხის სამსახურში გაატარა. მას, სრულიად დამსახურებულად, საქართველოში ფიზიკის სწავლების მეთოდიკის კორიფეებში მოიხსენებენ. ვუსურვოთ მას დიდხანს სიცოცხლე და სასახელო შვილებთან ერთად ბედნიერი ცხოვრება.

მშობელთა კრება

დავზოგოთ პატარას მხედველობა

კომპიუტერის აქტიურ მომხმარებლებს აღენიშნებათ მხედველობის დაქვეითება და მხედველობითი დისკომფორტი. ბავშვს თავი სტკივდება, აწუხებს თავბრუს ხვევა, საბოლოო ჯამში კი, მხედველობის სიმახვილე უქვეითდება და ახლომხედველი ხდება. კომპიუტერის დაავადება, უმთავრესად, მხედველობის დაქვეითებით, თავის ტკივილითა და თავბრუს ხვევით ვლინდება. ამ მიზეზების წარმოშობას განაპირობებს:

- კომპიუტერთან სისტემატური მუშაობა მოითხოვს მხედველობის კონცენტრაციის მკვეთრ გაძლიერებას, რასაც ძალაუნებურად მოჰყვება ახლო მანძილზე მხედველობის მექანიზმის ნაწილობრივი გადაწყობა, ეს კი იწვევს თვალის მამოძრავებელი კუნთებისა და ბროლის (ცილიარული) კუნთის ძლიერ გადაღლას. შედეგად ვითარდება აკომოდაციის სპაზმი.

კომპიუტერთან, დღეში ორ-სამსაათიანი, უწყვეტი მუშაობის შემდეგ მოზარდის თვალის რეფრაქცია, საშუალოდ 0,25 დიოპტრიით იცვლება მინუსისკენ, ეს კი ახლომხედველობის (მიოპიის) განვითარების აშკარა წინაპირობაა.

- მონიტორი თვითმნათი ხელსაწყოა. მონიტორზე მხედველობის კონცენტრაცია თვალზე, პრაქტიკულად, ისევე მოქმედებს, როგორც ანთებული ნათურის დიდხანს ყურება: იკლებს კონტრასტული მხედველობა და ციმციმის აღქმის ზღვრული სიხშირე.
- მხედველობითი კონცენტრაციის პირობებში საგრძნობლად იშვიათდება ქუთუთოების ხამხამის სიხშირე, რაც, თავის მხრივ, იწვევს თვალის ლორწოვანი გარსის (კონიუნქტივიტის) და რქოვანა გარსის წინა ზედაპირის გაშრობას. ყალიბდება ე.წ. მშრალი კონიუნქტივიტი. ზემოაღნიშნულ პათოლოგიურ მოვლენათა ერთობლიობა ცნობილია კომპიუტერულ-მხედველობითი სინდრომის (კმს) სახელით.

მხედველობისთვის ნაკლებად საზიანოა კომპიუტერში ფერადი სურათების თვალიერება, რომელთაც დიქტორის ტექსტი ახლავს, ეს მხედველობის განტვირთვასაც კი უწყობს ხელს. განსაკუთრებით თვალს ღლის კომპიუტერზე ხატვა და თამაში – ამ დროს მხედველობა ზედმეტად იძაბება.

5 აუცილებელი პირობა

ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად საჭიროა რამდენიმე პირობის შესრულება:

1. კომპიუტერული ჰიგიენის დაცვა;
2. პროფილაქტიკური ოფთალმოლოგიური სკრინინგი;
3. ადეკვატური ოპტიკური კორექცია;
4. მედიკამენტური მკურნალობა;
5. პროფილაქტიკა და მკურნალობა სპეციალური კომპიუტერული პროგრამებით.

კომპიუტერული ჰიგიენა მოიცავს რამდენიმე მომენტს:

- მონიტორთან მუშაობისას, ყოველ 30 წუთში ერთხელ, საჭიროა 2-3 წუთით შესვენება, მცირე ხნით მხედველობის კონცენტრირება შორეულ საგნებზე;
- თვალებიდან მონიტორამდე უნდა დავიცვათ 50-60 სმ-იანი დისტანცია;
- თვალებსა და მონიტორის ცენტრს შორის უნდა შევინარჩუნოთ 10-15-გრადუსიანი კუთხე, რათა თავიდან ავიცილოთ ზედა ქუთუთოების იძულებითი მაღლა დგომა;
- მონიტორის ირგვლივ ფონური განათება თვალებისთვის არც უსიამოვნოდ ძლიერი უნდა იყოს, არც მეტისმეტად სუსტი. დაუშვებელია კომპიუტერთან მუშაობა ცუდი განათების პირობებში.
- მონიტორი არ უნდა ირეკლავდეს სინათლის სხვა წყაროს (ფანჯარა, ნათურა და ა.შ.).

6-7 წლამდე ასაკის ბავშვი, სასურველია, კომპიუტერს მოვარიდოთ. 7-დან 12 წლამდე ასაკის ნორმალური მხედველობის მქონე ბავშვებისთვის კომპიუტერთან ჯდომა, მაქსიმუმ, 40-60 წუთი შეიძლება, ხოლო 12-დან 15 წლამდე ასაკის მოზარდისთვის – დღეში, არა უმეტეს, 2-2,5 საათისა.

თვალის სიჯანსაღის შესანარჩუნებლად

ყველაზე გავრცელებული პროფილაქტიკური საშუალებებია ბუნებრივი ცრემლის პრეპარატები. მათი დანიშნულებაა თვალის ლორწოვანი გარსის გამოშრობის თავიდან აცილება. კომპიუტერთან მუშაობისას ეს პრეპარატები თვალებში, 2-4 საათში ერთხელ, უნდა ჩავიწვეთოთ. ბიოაქტიური კვებითი დანამატებიდან აღსანიშნავია შავი მოცვის პრეპარატები, როგორც აბები, ასევე ნაყენი და სიროფი. ითვლება, რომ შავი მოცვი კარგია ბადურა გარსის გასააქტიურებლად. პრეპარატის დოზირება ინდივიდუალურია და ექიმ ოფთალმოლოგის კომპეტენციაში შედის.

თვალის ჯანსაღი საცრემლე ჯირკვალი სისტემატურად გამოყოფს ცრემლს, რაც თვალს გამოშრობისა და გარემოს მავნე ზემოქმედებისგან იცავს. ხდება ხოლმე, რომ ცრემლის გამოყოფა მცირდება ან გარემოს მავნე ზემოქმედება იმდენად ძლიერია, რომ გამოყოფილი ცრემლი თვალის დასაცავად არ არის საკმარისი. თავს იჩენს თვალების სიწითლე, უსიამოვნო შეგრძნება თვალების ხამხამის ან მოძრაობის დროს, უცხო სხეულის (ქვიშის) ჩხვლეტის შეგრძნება, ზოგჯერ ტკივილიც კი. ასეთ დროს ოფთალმოლოგის კონსულტაცია აუცილებელია, რათა სიმშრალის მიზეზი გაირკვეს და სწორი რეჟიმი ან მკურნალობა დაინიშნოს.

კომპიუტერთან ჯდომით გამოწვეული დარღვევები

კომპიუტერთან ჯდომა გარკვეულ იძულებით პოზას მოითხოვს. ბავშვი ყოველთვის დაძაბულია, უცქერის ეკრანს და, ამავდროულად, იძულებულია ხელები განსაზღვრულ მდგომარეობაში დაიკავოს. ეს ყველაფერი კი იწვევს:

- სუნთქვის გაძნელებას – წინ წაზიდული მხრები და იდაყვები ხელს უშლის გულმკერდს, თავისუფლად იმოძრაოს;
- ხერხემლის გამრუდებას – ერთსა და იმავე მდგომარეობაში მხრებდაშვებული ჯდომა უარყოფითად მოქმედებს ძვალ-კუნთოვან სისტემაზე და შეიძლება, პატარას სქოლიოზიც კი განუვითარდეს;
- ხელის მტევნების გადაღლას.

იმისათვის, რომ ძვალ-სახსროვან სისტემაზე დატვირთვა შევამციროთ, საჭიროა სწორად შევარჩიოთ ავეჯი – სასურველია, მოზარდი გორგოლაჭიან, მოძრავსაზურგიან სავარძელზე დავსვათ, რაც შეიძლება კომფორტულად უნდა მოერგოს სამუშაო თუ გასართობ ადგილს. საგანგებოდ უნდა შევურჩიოთ კომპიუტერის მაგიდაც. წერისთვის, ხატვისთვის და თამაშისთვის ბავშვს მაღალი მაგიდა სჭირდება, ხოლო საბეჭდად – 7-10 სანტიმეტრით დაბალი. ამიტომაც, სასურველია, კომპიუტერი განვათავსოთ გამოსაწევდაფიან მაგიდაზე, სადაც კლავიატურა შეიძლება მოთავსდეს. ასეთი მაგიდა აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელიც თავიდან ააცილებს ბავშვს შესაძლო დარღვევებს – მოძრავი კლავიატურა მოზარდს საშუალებას აძლევს, სურვილისამებრ, შეცვალოს პოზა.

დარღვეული სათუთი ფსიქიკა

თურმე კომპიუტერი მხოლოდ მხედველობასა და აღნაგობას როდი ვნებს, იგი გაცილებით მეტად ძაბავს ბავშვის ფსიქიკასაც. ამიტომ აუცილებელია, ბავშვი ხშირ-ხშირად შევასვენოთ, თანაც, სულ ცოტა, 15-15 წუთით მაინც. სასურველია დავიცვათ ასეთი გრაფიკი:

I კლასი – აკრძალულია;
II-III კლასი – 30 წუთი კვირაში;
IV-VI კლასი – 1 საათი კვირაში;
VII-IXკლასი – 2 საათი კვირაში;
X-XI კლასი – 4 საათი კვირაში.

შესაძლოა, ეს გრაფიკი მკაცრადაც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ, თუკი გულისხმიერად დააკვირდებით და გააანალიზებთ იმ მავნე ზეგავლენას, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, დარწმუნდებით, რომ ღირს სიმკაცრე თქვენი შვილების ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად.

რას ასხივებს კომპიუტერი?

ეს კითხვა გაცილებით აქტუალურია, რადგანაც მშობლების უმეტესობა შვილებს კომპიუტერთან თამაშს სწორედ რადიაციული გამოსხივების გამო უშლის. ამ შემთხვევაში, მშობლები არასწორად ფიქრობენ, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამაოდ ღელავენ. საფრთხე სხვაგანაა ჩასაფრებული – ეს არის ელექტროსტატისტიკური პოტენციალი, რომელიც ეკრანსა და ბავშვის სახეს შორის დამუხტულ ველს წარმოქმნის. ამ ველში იქმნება მტვრის უწვრილესი ნაწილაკების კორიანტელი, რომლებიც უდიდესი სისწრაფით მოძრაობს და ბავშვის ნაზ კანს ეხეთქება. იმისათვის, რომ ელექტროსტატისტიკური ველის მავნე ზემოქმედება შევამციროთ ოთახი, სადაც კომპიუტერი დგას, დროდადრო სველი წესით უნდა დავასუფთაოთ, ასე ნაკლები მტვერი დაგროვდება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ბავშვი დიდხანს უზის კომპიუტერი, სასურველია, ძილის წინ გრილი წყლით დაიბანოს სახე.

თვალსაზრისი

განათლების ერთიანი პოლიტიკა

დღევანდელი უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის ფონზე მაინც უნდა ვისაუბროთ ყველა იმ საკითხზე, რომელიც გვაწუხებს და გვტკივა, მით უმეტეს, თუ ეს ეხება ქვეყნის მომავალს – ახალგაზრდობას, მის განათლებას. პირველ რიგში, ნებისმიერ საქმიანობაში უნდა გავითვალისწინოთ დღევანდელი საქართველოს რეალობა. ყველაზე მძიმე პერიოდი გადავლახეთ, გადავიტანეთ ძნელბედობა, თუმცა დაგვრჩა დანგრეული სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები და ა.შ., მაგრამ მივიღეთ ფართო საერთაშორისო მხარდაჭერა და დახმარება ეკონომიკის აღსადგენად. საქართველომ სწრაფი ტემპით დაიწყო ქალაქების თუ სოფლების აღდგენა. ძალიან მოკლე ხანში აშენდა სააღმზრდელო და საგანმანათლებლო ორგანიზაციები, დაწესებულებები, ბევრის რეაბილიტაცია მოხდა.

საქართველოში სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვების მხოლოდ 44 პროცენტი დადის, მათგან 20 პროცენტი, საბავშვო ბაღის დამთავრების შემდეგ, სრულიად მოუმზადებელი ჯდება სკოლის მერხთან, მშობლების 56 პროცენტს არანაირი რესურსი არ გააჩნია იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს საკუთარი შვილების განვითარებას. ეს სამწუხაროა. ივლისში, პარლამენტში, ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების ეროვნული სტრატეგიული გეგმის პრეზენტაცია მოეწყო, რომელიც ბავშვთა ჯანმრთელობისა და განათლების ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. ჯერ კიდევ შარშან, ამავე პრობლემის გადასაჭრელად შეიქმნა ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების ეროვნული ალიანსი, რომელშიც გაწევრიანებული არიან ექსპერტები როგორც სახელმწიფო სტურქტურებიდან, ისე ადგილობრივი არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, მათ შორის – გაეროს ბავშვთა ფონდი. თუ სახელმწიფოს ნება იქნება და სწორად შემუშავებულ სტრატეგიას ბოლომდე მივყვებით, არათუ ადრეული ასაკის, არამედ ყველა ბავშვის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება.

დღეს **სკოლამდელი აღზრდის** დაწესებულებები, ძირითადად, თანამედროვე სტანდარტებს თითქმის არ შეესაბამება. აუცილებლად უნდა შეიცვალოს მდგომარეობა საბავშვო ბაღებში, რაც მხოლოდ შენობის მოწესრიგებას არ გულისხმობს. საჭიროა მასწავლებელთა გადამზადება (ნაწილმა გაიარა), უნდა შემუშავდეს სტანდარტები – რა შედის მასწავლებლის, ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის ფუნქციაში.

ასეთი სახის ეროვნული გეგმა სოლიდურ ინვესტიციას მოითხოვს, მაგრამ სახელმწიფო მზად არის გაიღოს, რაც ამ საქმეს სჭირდება.

შემდეგ ეტაპზე ბავშვის აღზრდა-განათლების დაწესებულება ხდება **სკოლა**. სახელმწიფომ ბევრი გააკეთა სკოლის განახლებისთვის, დანერგა ახალი სტანდარტები, ამიტომ დღეს სკოლის წინაშე უფრო რთული ამოცანები დგას. სკოლიდან უნდა გამოვიდეს არა მხოლოდ სკოლის პროგრამაგავლილი ახალგაზრდა, არამედ – წიგნიერების, მეტყველების კულტურის მაღალი დონის მატარებელი ინტელექტუალი. კულტურულად მეტყველი ახალგაზრდების აღზრდა სკოლის საპატიო ამოცანაა.

დღეს მოწაფე სკოლაში უნდა სწავლობდეს: სალიტერატურო ენის ნორმებს, მშობლიურ ენაზე მეტყველების წესებს, გარემომცველ ბუნებას, საზოგადოებრივ ცხოვრებას, ხალხის სულის მოძრაობას, განცდებსა და ინტელექტუალურ საქმიანობას. მეტყველების განვითარებას ხელს შეუწყობს არა მხოლოდ დედა ენის, არამედ სხვადასხვა მეცნიერების საფუძვლების ცოდნა. მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლება კი არსებითად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მტკიცედ და სრულყოფილად ექნება მოწაფეს შეთვისებული დედა ენა, ის ენა, რომელზედაც აზროვნებს.

მეტყველება დაკავშირებულია ნორმალურ მოქმედებასა და ჰარმონიულ განვითარებასთან. სკოლის მიზანია არა ცალმხრივი, არამედ ყოველმხრივი აღზრდა-განვითარება, ისეთი პიროვნების ფორმირება, რომელსაც დაამშვენებს აზროვნებისა და მეტყველების მაღალი კულტურა, ინტელექტუალობა. სწორედ ამის შემდეგ უმდიდრდება მას გონება, უმუშავდება გარკვეული შეხედულება საგნებზე, მოვლენებზე, იძენს ადამიანური ცხოვრებისა და მოქმედებისათვის აუცილებელ პრაქტიკულ ჩვევებს, იზრდება და ყალიბდება, როგორც განვითარებული ადამიანი. ამას ისიც ემატება, რომ სწავლობს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ საგნებს: კომპიუტერს, ინგლისურ ენას და ა.შ. დასავლურ ღირებულებებთან ერთად, სკოლა უნდა უყალიბებდეს ახალგაზრდას ეროვნულ ინტერესებს, ეროვნულ იდეოლოგიასა და მსოფლმხედველობას. მოაზროვნე ადამიანის ჩამოყალიბება პერმანენტული პროცესია, ადრეულ ასაკში იწყება და გადის პედაგოგიკაში არსებულ ყველა ასაკობრივ საფეხურს. როცა მთავრობის მიერ განათლების სისტემაში არჩეული მთავარი მიმართულებაა „საქართველოს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში გაერთიანება“, ამისათვის სახელმწიფოში უნდა იყოს უმაღლესი განათლების განვითარებული სისტემა, ცხოვრების მაღალი დონე და ძლიერი ეკონომიკა.

ალბათ, საჭიროა გაანალიზდეს შრომისა და უმაღლესი განათლების ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე არსებული მდგომარეობა, რაც გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემს. მაგალითად: რა სახის სპეციალისტებს მოითხოვს, ყოველწლიურად, შრომის ბაზარი; რამდენად ამართლებს უწყვეტი განათლება და რამდენად განაპირობებს ამას ცოდნის, მოწინავე საწარმოო და საინფორმაციო ტექნოლოგიების რაოდენობრივი ზრდა.

ეროვნული ეკონომიკის განვითარების, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის აშენების გარეშე, რასაც დასავლეთში knowledge based economy-ს უწოდებენ, უმაღლესი განათლება ხელს ვერ შეუწყობს, ზოგადად, საზოგადოების პროგრესს.

განათლება უზარმაზარი ფინანსური ბაზარია. The Economist-ის თანახმად, განათლების საერთაშორისო ბაზრის ბრუნვა 30 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენს. განათლების ამ ბაზარზე ჩვენ ჯერ მოთამაშეები არა ვართ (სამწუხაროა და სასურველია). ქვეყნის საგარეო და საშინაო პრობლემების სიმძაფრე მისი ფინანსური მდგომარეობის და, შესაბამისად, სოციალური ფონის გაუარესებას იწვევს. ამას კი თან სდევს ინტერესებისა და პრიორიტეტების გადახედვა.

საქართველომ, თავის დროზე, მიიღო „კანონი განათლების შესახებ“ და მთავრობის მიერ განათლების სისტემაში არჩეული მიმართულება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გახდა „საქართველოს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში გაერთიანება“.

ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ადვილი არ იქნება განათლების სფეროში რეფორმების გატარება, ამიტომ თანამედროვე პირობებში განათლების პრობლემა ქვეყნის ეკონომიკისა და პოლიტიკის წინაშე მდგარი ამოცანების კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

ჩვენი საზოგადოების გადასვლა დემოკრატიულ პრინციპებზე, საბაზრო ურთიერთობის პირობები განათლების სფეროს წინაშე ახალ ამოცანებს აყენებს. აუცილებელი გახდა: სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური განათლებისა და კულტურის ამაღლება; ზოგადი და სპეციალური განათლების სისტემაში არსებითი ცვლილებების შეტანა. ამგვარ ცვლილება-სიახლეებს შეუძლია გააიოლოს ახალ პირობებთან ფსიქოლოგიური შეგუება. როგორც ვიცით, სწავლების დონეს და ხარისხს, არსებითად, ორი ფაქტორი განაპირობებს: პროფესორ-მასწავლებლების მაღალი პროფესიული და ზნეობრივი დონე და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მსოფლიო საუნივერსიტეტო განათლების მიღწევებისა და ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით შედგენილი წესდების მიხედვით, უნივერსიტეტი სრულიად დამოუკიდებლად გამოცხადდა როგორც აკადემიურ სფეროში, ასევე საუნივერსიტეტო მართვა-გამგეობის მხრივაც.

უმაღლესი სკოლის უპირველესი ამოცანაა სწავლების ხარისხის ამაღლება, სტუდენტების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით აღჭურვა, სასწავლო პროცესის სათანადო გეგმა-პროგრამით წარმართვა ყველა უმაღლესი სასწავლებლის ძირითადი ფუნქციაა. კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო აქტივობა-მიღწევები კი ამ ძირითადი ფუნქციის მაღალ დონეზე წარმართვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ახალ სისტემაზე გადასვლიდან განვლილი დროის ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსალოდნელი ეფექტი მიღწეულია. ბაკალავრიატში არსებითად გაძლიერდა სწავლის და კვლევითი მუშაობის მოტივაცია. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დონე. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა საგანში გვქონდეს როგორც გონივრული და გააზრებული სასწავლო პროგრამები, ასევე მათი სწავლების დახვეწილი მეთოდიკა. დღეს უცხოური ენების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცევა. აუცილებლობამ მოითხოვა, საგანგებოდ მივუდგეთ ამ მნიშვნელოვან საქმეს.

სასწავლო პროცესის ყველა რგოლის ოპტიმალურად ფუნქციონირების პირობების უზრუნველყოფა დღეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომპიუტერული პარკის განვითარებას.

ახალი საუკუნე უამრავ ახალ მოთხოვნას გვიყენებს. ახლებურადაა გასააზრებელი უმაღლესი განათლების სისტემაც – მისი როლი, ამოცანები, მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

საზოგადოების განვითარების პროცესში სრული ეფექტურობით უნდა იქნეს გამოყენებული ქვეყნის ინტელექტი, რაც ყველაზე მეტად უმაღლეს სასწავლებლებში და, რა თქმა უნდა, მეცნიერებათა აკადემიაშია წარმოდგენილი. აშშ-ს სკოლებშიც კი კატასტროფული მდგომარეობაა. ამერიკის ინტელექტუალური სივრცის შევსება ემიგრანტული ინტელექტით ხდება და ასეთი მდგომარეობა არა მარტო ამერიკაშია. გერმანელები მსოფლიოს ყველაზე მაღალგანვითარებული ხალხია, მაგრამ გერმანია ინფორმატიკისა და კომპიუტერული ტექნიკის სპეციალისტების ნაკლებობას განიცდის. ჩვენ მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს – ზესახელმწიფოს (იმპერიის) შემადგენელი ნაწილი ვიყავით. თუ ჩვენი ინტელექტუალური დონის მიხედვით ვიმსჯელებთ, თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ არ ვართ განვითარებადი ქვეყანა. მართალია, გვიჭირს, მაგრამ ჩვენ ინტელექტუალური ქვეყანა ვართ და ამ ინტელექტს, მეცნიერულ ინტელექტს, გაფრთხილება და შენახვა უნდა, როგორც ძლიერ შემოქმედებით ძალას. აქედან გამომდინარე, ჩვენი დამოკიდებულება ყველაფრის მიმართ უნდა შეიცვალოს. სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი აღსაზრდელებს ცხოვრების სრულიად ახალ წესს უნდა ასწავლიდეს. დღეს, მსოფლიოში, კურსი იმაზეა აღებული, რომ ახალი პედაგოგიური მიდგომებით ბავშვს ასწავლონ, თუ როგორ ისწავლოს. ეს არის უმთავრესი ღერძი, რაზეც უნდა აიგოს სასწავლო პროცესი.

სწორად და ახალი მოთხოვნილების გათვალისწინებით განათლების რეფორმირება პერმანენტული პროცესია, რომელიც განუწყვეტლივ მიმდინარეობს. როგორც ცნობილია, უმაღლესი სასწავლებელი არ არის პროფესორ-მასწავლებელთა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ერთობლიობა, მისი მთავარი მამოძრავებელი ის ინტელექტუალური პოტენციალია, რომელიც პროფესორ-მასწავლებლების ერთმანეთთან და სტუდენტებთან ურთიერთობაში გამოიხატება.

ტრადიციული ცოდნა და გამოცდილება, ახალ მეცნიერულ და საგანმანათლებლო ღირებულებებთან მათი შერწყმა, უმაღლესი სასწავლებლების ინტელექტს ქმნის. ბუნებრივია, ჩვენი მიზანია, მივაღწიოთ უმაღლესი განათლების საერთაშორისო აღიარებას.

როცა მთავრობის მიერ განათლების სისტემაში არჩეული მთავარი მიმართულება „საქართველოს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში გაერთიანებაა“, ამისათვის საჭიროა სახელმწიფოში იყოს უმაღლესი განათლების განვითარებული სისტემა, ცხოვრების მაღალი დონე და ძლიერი ეკონომიკა, მისი ახალი მოდელი. ამის მისაღწევად საქართველო ყველაფერს გააკეთებს.

დენის ძასრაშვილი
ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

ლეილა გულაღაშვილი
ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი

ინფორმაცია

საღამოს უჩვეულო დასასრული

აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის პედაგოგები – ნატო ცობეხია, ვაჟა შონია

17-18 იანვარს აფხაზეთის №1 საჯარო სკოლაში (ზუგდიდი, დირექტორი **ლუიზა შონია**) საზეიმო საღამო გაიმართა. ღონისძიების ინიციატორები ამავე სკოლის პედაგოგები: **ნატო ცობეხია, ხათუნა ხარჩილავა, თინა ჯღარკავა, მზია ეზუგბაია** იყვნენ. საზეიმო სამოსში გამოწყობილი პატარები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქართულ ხალხურ სიმღერებში, ცეკვასა და ლექსების წაკითხვაში. მათ მიერ შესრულებულმა ქართულმა ცეკვებმა დარბაზი დაიპყრო.

ღონისძიების დასასრულს, საგანგებოდ შერჩეული პატრიოტული სიმღერების ფონზე, სტუმარი თუ მასპინძელი ერთად აცეკვდა. არასოდეს დამავიწყდება, როგორ დაიკავეს სცენა დევნილმა მოსწავლეებმა. სურათები კი გადავიღე, მაგრამ გვარ-სახელები ვერ ჩავიწერე. ისე იყვნენ ჩართულნი ამ საზეიმო ფერხულში, მომერიდა მათი ყურადღების სხვა საკითხზე გადატანა.

გვეგონა, საღამო დასრულდა, მაგრამ ახალი, სრულიად დაუგეგმავი, ღონისძიება წინ გველოდა. თითქმის ორი საათის განმავლობაში დევნილი მოსწავლეები ქართული პოეზიის ნიმუშებს კითხულობდნენ, მათ შორის **ჯანო ჯანელიძის** ლექსებსაც, რომელიც სინანულით გაიხსენეს სკოლის დირექციამ და პედაგოგიურმა კოლექტივმა.

მათ ღრმა მწუხარება გამოთქვეს აფხაზეთის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი განათლების მინისტ-

აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის პედაგოგები – ხათუნა ხარჩილავა, მზია ეზუგბაია

აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები ღონისძიებაზე

რის (1992-2004 წწ.), პოეტ-აკადემიკოსის – **ჯანო ჯანელიძის** გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ის იყო იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლისა და გიორგი შერვაშიძის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, აფხაზეთის აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, წლების განმავლობაში გაზეთ „ოქროს საწმისის“ მთავარი რედაქტორი და „კოლხური დიადემას“ გამომცემელი, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენისა და ღირსების ორდენის კავალერი. მისი ავტორობით, ლექსების 50-მდე კრებული გამოიცა. ახლახან **ჯანო ჯანელიძეს** 75 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, 2008 წლის 29 დეკემბერს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემოქმედებითი საღამო მოეწყო, ხოლო საპატრიარქოს სულიერებისა და კულტურის ცენტრში მისი ახალი წიგნის – **„როცა ცრემლები მღერიან“** პრეზენტაცია გაიმართა. იგი 15 იანვარს დიდების საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. ქართველ პოეტს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ, **მალხაზ აქიშბაიამ,** საქართველოს პრემიერ-ministrმა, **გრიგოლ მგალობლიშვილმა,** აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა, **ალექსანდრე აპლაკოვმა**, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლებმა, კოლეგებმა და ახლობლებმა უკანასკნელი პატივი მიაგეს.

ასმათ შამუგია

მამები დიდი შვილებისა

„ჩემი საწოლის წინ დაიჩოქებდა და თვალებს ამომიკოცნიდა“

ძლიერი, რთული ხასიათის, ერთგვარად პირქუში, მაგრამ შინაგანი წყობით კეთილშობილი, რაინდი, უშიშარი ადამიანი, – ასე წარმოგვიდგება XX საუკუნის ქართული პროზის დიდოსტატის – კონსტანტინე გამსახურდიას მამა სვიმონი. *„მამაჩემი სვიმონი, რომელსაც მისი ნაყმევების შვილთაშვილები და ძიძაშვილები „პატონ სუმოს“ ეტყოდნენ საკმაოდ ჩამორჩენილი კონსერვატორი იყო. მას წერა-კითხვა უსწავლია თურმე ხარის ბეჭზე, თავის სიცოცხლეში „ვეფხისტყაოსნისა“ და „დავითნის“ გარდა წიგნი არ წაუკითხავს და მე ეგრე მახსოვს, იგი გულდასმით ამტკიცებდა, რაც დასაწერი იყო, ამ ორ წიგნში უკვე დაუწერიათ და სხვა რამ არც არისო საჭირო“. (კონსტანტინე გამსახურდია, თხზულებანი 8, გვ. 56).*

სვიმონ გამსახურდია, ერთი შეხედვით, აზნაურიშვილის ტიპური განსახიერება ყოფილა. სიჭაბუკეში მრავალი ხიფათისა და განსაცდელის გამომვლელი „გატაცებული ყოფილა ქეიფითა და ნადირობით. შესანიშნავი მსროლელი და მოჯირითე, სიცოცხლეს უმწარებდა დედაჩემს, რომელსაც ოჯახისა და ლოცვის გარდა არაფერი აინტერესებდა ამქვეყნად“.

ერთი შეხედვით, სვიმონი არ ყოფილა ალერსიანი და შვილებისადმი მიმფერებელი კაცი. იგი ამას მათგან ფარულად აკეთებდა. არ ანებივრებდა შვილებს. ამაშიც კარგად იკვეთება ამ რთული ხასიათის მქონე ადამიანის კოლორიტული სახე.

„მამაჩემი ალერსით მაინცდამაინც არ მანებივრებდა. არასდროს მას ჩემთვის არ უკოცნია, მხოლოდ გვიან გავიგე, როცა ქორწილის, ან ნადირობის შემდეგ გვიან ღამით შინ მობრუნდებოდა თურმე ჩემი საწოლის წინ დაიჩოქებდა და თვალებს ამომიკოცნიდა ხოლმე.

საერთოდ სიტყვაძუნწი მამა სასტიკად ექცეოდა ჩემს ძმებს: ლუკას, ბესარიონს, ალექსანდრეს, ბიქტორს, ვანოსაც. ერთადერთი ჩემი დაი სოფიო იყო მისი ალერსის საგანი.

როცა მამაჩემი ცხენით მობრუნდებოდა შინ, მუხის ჭიშკართან მოაღწევდა თუ არა, ყმაწვილები გარეთ გამოვცვივდებოდით, ზოგი აღვირს წაავლებდა ხელს, ზოგიც უზანგებს და ცხენს თავლისკენ წაყყვანდით“ (იქვე, გვ. 60).

მამის სახეს მწერალი ერთგვარი რიდით, მოზომილი სიმპატიით და, რაც მთავარია, სიყვარულით ხატავს: *„მამა უებრო ცხენოსანი იყო მეთევზე და მონადირე. ერთხელ მან ჩანგლით მოჰკლა თურმე ვეებერთელა ღლავი. ისკუპა და მეორე ნაპირის ქარაფს მიახტა. ამ დროს მარჯვენა წვივი მიამსხვრია ტინს, ამის გამო დაკოჭლდა.*

ახალგაზრდობაშიაც თამამი და უშიშარი ყოფილა. როცა თურქები შემოესიენ დასავლეთ საქართველოს სავსებით ახალგაზრდა მამა მზვერავად გაუგზავნიათ. ცხენი მუხის ქვეშ დაუბამს. ასულა ხეზე და თურქების ასკერები მისკენ წამოსულან ჭენებით. მამა ცხენს მოჯდომია და თავადაზნაურთა მილიციაში მიუტანია ამბავი.

სიბერეშიაც იქადნიდა: არაფერი ისე არ ამშვენებსო ვაჟკაცს, როგორც სიმამაცე. ღამე ტყეში მაგზავნიდა ცხენების სამწყესად...

ექვსი წლის ბალღი მორევში გადამაგდო, იცურავეო, შემძახა. ბლომად ვყლაპე წყალი, ბოლოს თვითონ შემოცურა და ყურით ამომათრია, მერე ფეხებში წამავლო ხელი, უზომოდ შესმული წყალი ამომანთხევია.

ერთხელ თავად ხედნიდა საკმაოდ ოჩან ულაყს. ხელი წამავლო და უბელო და უაღვირო ცხენზე შემაგდო, ულაყს მათრახი გადაჰკრა გავაზე. შემომძახა: აბა, მარჯვედ გააჭენეო. ცხენი საოცარი სისწრაფით გაჭენდა თემშარაზე. მე ძლიერ შევშინდი. გზაში შემომხვდარ გლეხებს ვევედრებოდი – მიშველეთ-მეთქი. რა დავრწმუნდი, ვერავინ მშველოდა, ორივე ხელით ფაფარზე მოვეჭიდე ცხენს და შვება ვიგრძენი. ბოლოს ისე გავთამამდი, ქუსლი ვკარი და შინ მივბუნდი.

მამამ გაოფლიანებული ცხენიდან ჩამომიყვანა და მომიალერსა, ძლიერ მიხარია მშიშარა რომ არ ყოფილხარო.

ერთხელ მე გავხდი გასაოცარი ამბავის თანადამსწრე. მამაჩემმა მითხრა ნაშუაღამევს: წამოდი, ცხენებს მივაკითხოთო. ცხენები ზანას გადაღმა სძოვდნენ, მამამ ცალლულიანი თოფი წამოიღო, მე წალდი მომაჩეჩა ხელში. მდინარის ბოგირზე გადავედით თუ არა, სამი ცხენოსანი შემოგვეჩეხა.

„ჰეი, ვინ ხართ?! – შესძახა მამამ. სამივემ თოფი გვესროლა, მამაჩემი არ შედრკა, სროლითვე უპასუხა მათ. ცხენოსნები, რომელნიც ჩვენი ცხენების მოსაპარავად იყვნენ მოსულნი, შეკრთენ, ცხენები შეაბრუნეს და ჭენებით გაუჩინარდნენ.

ჩემი ცხოვრების უმძიმეს წუთებში, მე მუდამ მაგონდებოდა ვაჟკაცური ყიჟინა მამაჩემისა, რომელიც უკვე დაცლილი ფილთათოფით უკან მისდევდა შაშხანებით შეიარაღებულ ავაზაკებს.

როცა შინ მივბრუნდი, მამამ მითხრა: „იცოდე უტა, თუ ვაჟკაცს არ შეეშინდა, მას ვერავინ დაამარცხებს“. ეს ისეთი სერიოზული ტონით მითხრა, თითქოს მე დიდი რაინდი ვყოფილიყავი, მრავალ ომში ნაცადი.

მე მან ორი რამ შემათვისებინა: შიშიანობის წინააღმდეგ ბრძოლა და შრომისადმი სიყვარული“...

ორმოც წელს რომ გადასცილდა, სვიმონმა დროსტარებას თავი მიანება და თავის მამულში *„მოაწყო ინგლისური პარკი, თითქმის პირველად შემოიტანა სამეგრელოში ციტრუსები, ჰინდური ხურმები და სხვა ეგზოტიკური მცენარეები.... მოაშენა შესანიშნავი ვენახი, დაბლნარი. ჩვენებური აზნაურები მას სასაცილოდ იღებდნენ: აზნაურმა თოხნა და ბარვა დაიწყოვო...*

მამაჩემს ძლიერ უყვარდა გლეხები და ხელოსნები. ახლაც მახსოვს, თუ როგორ გულითადად უმასპინძლდებოდა იგი დურგლებს, რომელნიც ჩვენი წაბლის სახლის აშენებისას შველოდნენ მას“ (იქვე, გვ. 67).

ეს სიყვარული კი დიდი ხნის ურთიერთობითა და კეთილი საქმეების კეთების შედეგად მოვიდა. იგი თვითონაც ეხმარებოდა გლეხებს, ასაჩუქრებდა, ერეოდა მათ ოჯახურ საქმეებში, შვილებს უნათლავდა.

ერთხელ სვიმონი ქორწილიდან ბრუნდებოდა. აბაშა ადიდებული იყო და გლეხებმა ურჩიეს, ხვალამდე დაეცადა. მან კი მიუგო:

„მე იმ გვარისა ვარ, ბიჭებო, ვისაც უკან დაბრუნება არა სჩვევია. შინ მიბრძანდით და დაიძინეთო“.

გლეხებმა თანხლება მოინდომეს, მამაჩემი დაემუქრა:

„ახლავე დაბრუნდით, თორემ დაგხოცავთ იცოდეთ“. გლეხები შეკრთენ და გაბრუნდნენ, ხოლო მამაჩემმა შეაგელვა ცხენი მდინარეში, რომელიც სამიოდ კილომეტრის მანძილზე გადასცდენილიყო უკვე თავის სადენს. ნაბდიანი, ხმლიანი, ჩოხიანი მხედარი მამაცად მიაპობდა ტალღებს. ბოლოს აბობოქრდა გაცოფებული მდინარე, ცხენი წაართვა მხედარს. მამა ყიჟინით უკან გამოუდგა ცხენს. *ისევ შეახტა უნაგირსა და დასცა ყიჟინა, მაგრამ მას უკვე რამდენიმე ყლუპი წყლისა გადაცდენილი ჰქონდა სასულეში. ჭენებით მივარდა იგი სოფელში. ამის შემდეგ ლოგინად ჩავარდა“.* (კ. გამსახურდია, დასახ. წიგნი, გვ. 78).

მამის გარდაცვალების ამბავი კონსტანტინემ ქუთაისში შეიტყო. ეს იყო მისი ცხოვრების ერთ-ერთი საშინელი დღე, რომლის ელდა, ტკივილი და სასოწარკვეთა მუდამ ახსოვდა მწერალს: *„ერთ ღამეს ამოვარდა საოცარი გრიგალი. მე და მოხუცი დიასახლისი გარეთ გამოვედით. ქოხი სანახევროდ დაინგრა. მეორე დღეს დედაჩემის ბარათი მომივიდა, მამა გარდაიცვალაო, იუწყებოდა დედა.*

ჩემს ხსოვნაში წარუშლელია ის დღე. ვიდექი ამ დალეწილ ქოხის ნანგრევებზე, ვსტიროდი, ქვას ვიცემდი თავში. მოხუცი დიასახლისი მომვარდა და თავადაც ატირებული მევედრა: „ნუ იზამო ასეთ საშინელ საქმეს“ (იქვე, გვ. 79).

ხასიათის სიძლიერე, უაღერსად კოლორიტული სტოიციზმი მწერალს სწორედ მამისაგან გამოჰყვა. ერთი შეხედვით მიუკარებელი, მაგრამ თბილი გულის ადამიანი. ასეთი იყო კონსტანტინე გამსახურდია და ხასიათის ეს თვისება მამიდან მოსდევდა, რომლის პირადი თვისებები, სიმტკიცე, ვაჟკაცობა და გამბედაობა ყოველთვის სამაგალითო იყო მისთვის.

მურად მთვარელიძე

ქართული საგანძური მსოფლიოს გარშემო მოგზაურობს

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს პროექტ „ქართული სეზონის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ, 2007-2008 წლებში ორგანიზებულ, კოლხეთის საგანძურის გამოფენებს ევროპასა და ამერიკაში უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა.

2009 წლის 20 იანვარს, ათენის ბენაკის მუზეუმში, კოლხური საგანძური გამოიფინა. ამ მეტად საინტერესო ექსპოზიციისთვის საბერძნეთში დიდი ხანია, ემზადებიან. გარდა მხატვრული და მეცნიერული ღირებულებისა, საბერძნეთისათვის „მედეას ოქრო“ მნიშვნელოვან მითოლოგიურ დატვირთვას ატარებს და გამოფენის კონცეფციაც სწორედ ამ კუთხით აიგო.

პროექტის ფარგლებში, მილიონობით ადამიანმა გაიცნო საქართველო, მისი უნიკალური წარსული. უძველესი ღვინის მწარმოებელი და ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ადგილობრივი კულტურა. მეტად საინტერესოა სმითსონის ინსტიტუტში ჩატარებული კვლევა, რომელიც ცხადყოფს, თუ რა დიდი ინტერესი დაბადა ამ არაჩვეულებრივმა ექსპოზიციამ როგორც ქართული კულტურის, ასევე საქართველოს მიმართ.

მსოფლიოს ცნობილი ტელეარხები, გაზეთები და ჟურნალები ვრცელ სიუჟეტებს და სტატიებს უძღვნიდნენ მათთვის ამ მეტად უჩვეულო და უნიკალურ კულტურის ამსახველ ექსპოზიციებს.

„მედეას ოქრო“ ახალი აღმოჩენები საქართველოდან“, – ასე ეწოდებოდა ბერლინის ანტიკური კოლექციების ალტეს მუზეუმში გამოფენილ ექსპოზიციას. შემდგომ იყო ნიცა და პარიზი: „ოქროს საწმისის ოქრო – საქართველოს საგანძური“. ამ გამოფენამ მთელი საფრანგეთი აალაპარაკა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კოლხური საგანძური ვაშინგტონის სმითსონის ინსტიტუტში, ნიუ-იორკის, ანტიკური სამყაროს კვლევის ცენტრსა და ჰიუსტონის ხელოვნების მუზეუმში იყო გამოფენილი. „ღვინის კულტი და მსხვერპლთშეწირვა – ანტიკური ვანის ოქროს სამარხები“ – გამოფენების ამერიკული ტურნე სწორედ ამ სათაურით მიმდინარეობდა.

კოლხური ცივილიზაციის უნიკალურობის გარდა, გამოფენებმა მილიონობით დამთვალიერებელს საქართველო გააცნო, როგორც უძველესი ღვინის წარმოების ქვეყანა.

ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, ამჟამად, ვანის ოქრო დიდ ბრიტანეთში, კემბრიჯის ფიცვილიამსის მუზეუმშია ექსპონირებული.

გამოფენებზე წარმოდგენილი გახლდათ ქ. ვანში აღმოჩენილი ანტიკური ოქრომჭედლობის უნიკალური ნიმუშები. შეირჩა 83 დასახელების ექსპონატი (თავსამკაულები, სასაფეთქლეები, ყელსაბამები, ბეჭდები, დიადემები, სუდარაზე მისაკერებელი ღილაკები, სამაჯურები, სხვადასხვა სახის მძივები, ბრინჯაოსა და რკინის ქანდაკებები).

ამერიკის გამოფენები ბევრად უფრო მასშტაბური იყო, ვიდრე ევროპის. ექსპონირებული იყო: 83 ოქროს, 57 შერეული მეტალისა და სხვა მასალისაგან დამზადებული ნივთი, მათ შორის, ვანის მუზეუმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ექსპონატი – ძვ. წ. II საუკუნით დათარიღებული ჭაბუკის ტორსი.

გამოფენები მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ უნიკალურ ექსპონატებს ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა ერთობლივი სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარეს.

ვილნიუსში ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა

ლიტვის დედაქალაქის ეროვნული სამხატვრო მუზეუმი ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენას მასპინძლობს. ექსპოზიცია შალვა ამირანაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების მუზეუმის კოლექციიდან შედგა.

გამოფენაზე წარმოდგენილია 30 ტილო. მათ შორის, ისეთი ცნობილი სურათები როგორიცაა: „აქტრისა მარგარიტა“, „ლომი“, „სააღდგომო ბატკანი“, „რთველი კახეთში“ და ა.შ.

ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა მაისამდე გასტანს.

ლიტვის დედაქალაქი „იუნესკომ“ 2009 წლის ევროპის კულტურულ დედაქალაქად გამოაცხადა. ამასთან დაკავშირებით, ვილნიუსში 1 იანვრიდან დაიწყო მასშტაბური კულტურული ღონისძიებები, რომელშიც მსოფლიოს საუკეთესო ხელოვანები მონაწილეობენ. სწორედ აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში იმართება ნიკო ფიროსმანის ნახატების გამოფენაც, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მონაპოვარი.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში პრეზენტაცია გაიმართა

16 იანვარს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში, გაიმართა პრეზენტაცია თემაზე: „საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციათა ზუსტი ასლების წარმოება და სამუზეუმო მაღაზიათა ქსელის განვითარება“.

20 იანვარს, ათენის ბენაკის მუზეუმში საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოფენის „ოქროს საწმისის ქვეყნიდან“ გახსნასთან დაკავშირებით, საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო HELLENICAID საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად, აწარმოებს ერთობლივ პროექტს, რომელიც სამუზეუმო კოლექციათა სამუზეუმო ასლების წარმოებასა და კომერციალიზაციას ითვალისწინებს.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმს ბევრი საინტერესო საგანმანათლებლო პროექტი აქვს დაწყებული, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს სამუზეუმო ასლების წარმოება წარმოადგენს.

დღესდღეობით, ქართულ ბაზარზე, ასლების წარმოება და დისტრიბუცია ქაოსურად მიმდინარეობს და, ამ მხრივ, მუზეუმი მთელ რიგ სირთულეებს აწყდება.

პროექტი დაფინანსებულია საბერძნე-

ელიზბარ ერისთავი გაიხსენეს

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების წევრები, როსტომ ჩხეიძის თაოსნობით, გორში, სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ, ელიზბარ ერისთავის მემორიალთან შეიკრიბნენ ამ დიდი ეროვნული მოღვაწის, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი თაოსნის, იმპერიის წინააღმდეგ დაგეგმილი ამბოხების მთავარსარდლის გასახსენებლად. ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარში დეკანოზმა მამა გიორგიმ (გაბლიშვილმა) ელიზბარ ერისთავის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა. გორის უნივერსიტეტის სტუდენტებს როსტომ ჩხეიძემ საჩუქრად თავისი ახალგამოცემული წიგნები გადასცა. მანამდე კი, გენო ზაქარაიას მიერ შექმნილ ძეგლთან, კიდევ ერთხელ ისაუბრეს ღვაწლზე იმ გმირისა, ვინც საკუთარი თავი სამშობლოსთვის გადადო და თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა ჩვენი ერისა და ქვეყნის ბედისწერას.

მამა გიორგიმ კიდევ ერთხელ აღნიშნა, თუ რამხელა მადლი აქვს ასეთ ადამიანთა გახსენებას და რამდენად მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს ღვაწლი იმ პიროვნებისა, ვინც ბევრად განსაზღვრა XIX საუკუნეც და ქართველი ერის ცნობიერებაც.

სწორედ ასეთ მოღვაწეთა მხრეზზე იდგა საქართველო ყოველთვის. ამიტომაც არის, რომ ელიზბარ ერისთავი მუდამ მტრის სამიზნე იყო. ასე მოხდა გასულ ზაფხულსაც, აგვისტოს მოვლენებმა ამჯერად ელიზბარ ერისთავის ძეგლს დააჩნია ნატყვიარი.

ამ ყველაფერზე საუბრობდნენ გორის უნივერსიტეტთან შეკრებილები: როსტომ ჩხეიძე, ზაზა ცოტნიაშვილი, ჯემალ ინჯია, პაატა ჩხეიძე, ზაურ წაქაძე, ანდრო ბედუკაძე, ნინო ვახანია, ივანე ამირხანაშვილი, ნინო დეკანოიძე, დოდო ბიძინაშვილი, ზაქარია დემეტრაშვილი, ნინო ქოქოშვილი, მალხაზ გოჩაშვილი, მარინე გიგაშვილი, კარლო ცერცვაძე, ვაჟა აბრამიშვილი, ალექსანდრე ხელაია, თეონა ქურთაული, ოლიკო არდემანაშვილი, ეკა ბუჯიაშვილი... ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების წევრები თუ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ამავე სასწავლებლის სტუდენტები, საერთოდ, ქალაქის მცხოვრებნი, ვინც კარგად უწყიან ელიზბარ ერისთავის როლი ჩვენი ერისა და ქვეყნის ისტორიაში.

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 855 411668, 893 364240, 855 178027.
E-mail: axaliganatleba@gmail.ru, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.
რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.